

## მარა გაბრიელი ბრაგანტინი CSS


უურნალ „საბას“ მთავარი რედაქტორი

ოცდახუთი წელი ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაკვეთია ნებისმიერი შემოქმედებითი თაოსნობისათვის. მასმედიისთვის, ცხოვრების მუდმივად აჩქარებული ტემპის გათვალისწინებით, ეს დრო აღიქმება, როგორც ეპოქა. წლების განმავლობაში ძირეულად შეიცვალა გარემომცველი სამყარო, გაჩნდა ახალი ტექნოლოგიები, ჩამოყალიბდა ახალი შესაძლებლობები, შეიცვალა სახელმწიფო სტანდარტები, ასევე, იყო ახალი გამოწვევები კათოლიკე ეკლესიის რელიგიური საქმიანობის სფეროში, საზოგადოებასა და საქართველოში. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენთან ერთად იცვლებოდა უურნალი „საბა“, რომლისთვისაც უცვლელი რჩებოდა მისწრაფება, ფეხი აეწყო დროისათვის და გაეშუქებინა დღევანდელობის ყველაზე უფრო აქტუალური საკითხები, როგორც საერო, ისე საყოველთაო ეკლესიის ცხოვრებაში.

ყველაფერი, რაც თქვენ გააკეთეთ ამდენი წლის განმავლობაში, შესანიშნავია. „საბა“ არა უბრალოდ მასმედიის ერთ-ერთი რიგითი ბეჭდვითი გამოცემაა ჩვენს კათოლიკე ეკლესიაში, არამედ ყველაზე საინტერესო სარბიელი ეკლესიის ცხოვრების გასაშუქრებლად ამ 25 წლის მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ უახლოეს წარსულამდე, ის მასმედიის ერთადერთი სარბიელი იყო. მადლობას მოვახსენებ ყოველ ჩვენს მკითხველს, რომლებიც თავიანთი წერილებისა და მასალების საშუალებით ჩვენთან ერთად ეცნობოდნენ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის ცხოვრებიდან!

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს მეუფეს, რომელმაც 25 წლის წინათ, იმდროინდელ ნუნციუს ჟან პოლ გობელთან ერთად, განიხილა ჩვენი კათოლიკური გამომცემლობის, „საბას“ პერსპექტივები და რეგულაციები. მინდა, ასევე, გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ამ უურნალის დამფუძნებლის, ქალბატონ მანანა ანდრიაძისადმი, მისი ნიჭის, კომპეტენტურობისა და ამ უურნალის მოსამზადებლად და გამოსაშვებად განეული მრავალნიანი შრომისათვის. ეს სწორედ გმირული საქციელია როგორც კათოლიკესი, რომელსაც გულწრფელად სურდა და სურს სიკეთე თავისი ეკლესიისათვის, რომელიც კარგად ხედავდა ჩვენი კათოლიკე ეკლესიის მთელ რეალობას. დიდი მადლობა მას, მოთმინების, შრომისმოყვარეობისა და ყოველ სტატიაში გამოთქმული პირადი თვალსაზრისის გამო. უურნალი „საბა“, რომელიც გარკვეული ტირაჟით დიდი ხანია ამ სახელწოდებით გამოდის, ყველა კათოლიკურ სამრევლოს მიეწოდება. დაიწყო ახალი ეპოქა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიისა, რომელიც არა მხოლოდ მეხსიერებაში რჩებოდა, არამედ იწერებოდა და დღემდე იწერება ამ უურნალის ფურცლებზე.

მსურს, ჩემი სახელით მივულოცო ჩვენს ეკლესიას და ჩვენს გუნდს იუბილე! გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს და ახალი საინტერესო თემების მომზადებას! დაე, ყველაფერი ღვთის სადიდებლად იყოს!



## ეპისკოპოსის მილოცვა



**მ. ჯგუპი პაზობო**

კავკასიის ლათინ კათოლიკეთა  
სამოციქულო ადმინისტრატორი

### მაცნე „საბას“ რედაქციას

#### ძვირფასო რედაქცია,

ვხარობ ყველა თქვენგანთან ერთად ამ აღიარების გამო, რაც თქვენი და თქვენი წინამორბედების ძალისხმევისა და სიყვარულის ნაყოფია. ეს პრემია მიიღეთ საქართველოს სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსაგან ტოლერანტობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით.

ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, პირველი საფეხურია განსხვავებულთა თანაცხოვრებისათვის. თუმცა საჭიროა, რომ მას მოჰყვეს სხვა ნაბიჯებიც, რათა მივაღწიოთ იმგვარ სიყვარულს, როგორსაც სახარება მოითხოვს ჩვენგან. არადა, ამ პირველი ნაბიჯის გარეშე ვერასოდეს შევძლებთ შემდგომებს. ამის გამო ვხარობ თქვენთან ერთად და თქვენზე მეტად, რადგან ეს აღიარება შეიძლება მივიღოთ მოწვევად, რასაც ჩვენი მაცნე ღებულობს უახლოესი მომავლისათვის. კაცი ადგინდება მისი მიზანის ნაყოფად და თქვენი პასუხის ნიშნად, ჩვენი უურნალის, „საბას“ მომავალი წლის ყოველ ნომერში ერთი გვერდი დაეთმობა ტოლერანტობის თემას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ წარმატებულ სვლას!!!

გულითადი მადლობა საქართველოს სახალხო დამცველსა და სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს ამ აღიარებისა და ნდობისათვის.

მოხუცი ისააკი ლოცავს იაკობს,  
გოვერტ ფლინკი, 1638



ტყუილი და თაღლითობა ის-  
ეთივე ძველია, როგორც თავად  
სამყარო. საკმარისია, გავიხ-  
სენოთ იაკობი, თიკნის ტყავში  
გადაცმულმა, მამა რომ მოატყუა  
და პირმშოობა დასტყუა თა-  
ვის ძმას, ესავს; ან ულისე,  
რომელმაც ტროაში შესვლა მას  
შემდეგ მოახერხა, რაც ცნო-  
ბილი ცხენი ააგო... დღეს უნდა  
ვალიაროთ, რომ ტყუილი, სამ-  
წუხაროდ, ჩვენი ყოველდღიური  
ცხოვრების ნაწილია: ვის შეუ-  
ძლია თქვას, რომ არასდროს  
მოტყუებულა და, ასევე... არას-  
დროს მოუტყუებია პარტნიორი,  
დამსაქმებელი, ან საკუთარი  
სინდისი? მკითხავები, სატელე-  
ვიზიონ გაიძვერები, თვითმარ-  
ქვია ექიმები და თვითმარქვია  
იურისტები... ფიქციური ბანკები,  
არარსებული ორგანიზაციები,  
მოჩვენებითი სასტუმროები,  
ყალბი ვებსაიტები, არარეალური  
განცხადებები....: არ არსებობს  
სექტორი, სადაც თაღლითო-  
ბის საფრთხე არ იმალებოდეს...  
ასეა, სამწუხაროდ, გრძნობებ-  
შიც, ტანჯვაში, ავადმყოფობა-  
ში, მარტოობასა და სიღარიბეში  
და... რელიგიურ სამყაროშიც.

თუმცა, მხოლოდ კონკრეტულ  
პერიოდებში გამოდის საჯაროდ  
მედიის ავანსცენაზე სიტყვა  
„მოტყუება“, გაცურება, თაღ-  
ლითობა, რაც თითქმის მოდად  
იქცა. ესაა არჩევნების პერიოდი,  
ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერ

რული მიზნები, რის გამოც  
სურთ ხელისუფლებაში დაბ-  
რუნება ან მისგან ჩამოშორება,  
თითქოს სურთ, რომ დაემს-  
გავსონ უზენაეს მონარქსა თუ  
დიქტატორს. როგორი იქნება  
ეს მიზნები, თუკი ადამიანს არ  
შეუძლია განზე გადგომა, ალ-  
ტერნატივის გათვალისწინება,  
დაფიქრება იმაზე, რომ არ-  
სებობს განსხვავება მათ შო-  
რის, ვინც თაღლითობის გარ-  
ეშე აირჩიეს და ვინც საკუთარ  
თავს, იდეას, კლანს თავს ახ-  
ვევს ყველას კანონიერი და  
უკანონო გზით? ნუთუ ისინი  
ასეთი კეთილშობილი, უანგა-  
რონი, ალტრუისტები იქნები-  
ან... რა არის ამის მიზეზი?  
იქნება, ამ ყველაფრის მამოძ-  
რავებელი ძალა ეგოიზმია?  
ეგოიზმი თავისთავად დიდი  
ტყუილია, რადგან ის აკნინებს  
სამყაროს, ცხოვრებას, ყოვ-  
ელთვის პირველ რიგში აყენებს  
საკუთარ თავს, ყველაფერს სა-  
კუთარი თავით ზომავს, თვით  
ყველაზე წმიდათანმიდას -

## ვინც ცყუის, ის თავს იცყუებს!

ქვეყანაში, თვით ყველაზე დე-  
მოკრატიულსა და სამოქალაქო-  
ში. საბოლოოდ, ისმის კითხვა,  
აქვს კი აზრი დემოკრატიაზე  
საუბარს, თუკი გარდაუვალია  
ამომრჩევლის მოტყუება, გაყ-  
ალბებული არჩევნები, მოპარუ-  
ლი ხმები, სკანდალები... რატომ  
უნდა მიმართავდეს თაღლითო-  
ბას, უმრავლესობა იქნება ის თუ  
უმცირესობა, მემარჯვენე თუ  
მემარცხენე, ან თუნდაც ცენ-  
ტრისტი? თაღლითობა გვპარავს  
დემოკრატიას და იმაზე მიანიშ-  
ნებს, რომ არსებობს სხვა ფა-

ღმერთს და ეკლესიას. ეს მხ-  
ოლოდ საკუთარი თავის პირველ  
რიგში დაყენება როდია, არამედ  
საკუთარი თავის სხვებზე მაღლა  
დაყენება, სხვების დაბალ ფე-  
ნად ან არარობად მიჩნევა. ასე  
რომ, ეგოიზმი არაფერს აშენებს,  
ის მხოლოდ ჰყოფს და იმდენად  
გადამდები და გამხრნელია,  
რომ სოციალური თანაარსებო-  
ბა შეიძლება ერთ დიდ ეგოიზ-  
მად ჩამოყალიბდეს, და სადაც  
ეს გარდაუვალია, ყველათვის  
გაიმარჯვებს ძლიერი; ყველაზე



მაა გაპრილუ ჭრაგანტინი



ეგოისტი; ყველაზე გაიძვერა. მაგრამ, ცხადია, ეს ჯერ კიდევ შორსაა; სწორედ ამაზე იტყოდა იქსო, რომ ეს ყველაფერი ჰეგას ქვიშაზე სახლის აშენებას, ახალი და უფრო ტევადი ბეღლების გაკეთებას და იმის დავიწყებას, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად მოკვდე... რაღა საჭიროა მთელი სამყაროს დაპყრობა, თუკი შემდეგ საკუთარ სულს დაკარგავ. ეგოიზმი ნამდვილად საშიში მხეცია! ადრე თუ გვიან, ის, ვინც იტყუება, საკუთარი თავის მოტყუებით ასრულებს ცხოვრებას, ადრე თუ გვიან, ყველა კვანძი გაიხსნება! ამას გვასწავლის როგორც პირადი, ასევე, ეროვნული და მსოფლიო ისტორია! თუმცა, „ბევრად უფრო ადვილია ხალხის მოტყუება, ვიდრე მათი დარწმუნება იმაში, რომ ისინი მოტყუებულები არიან“, - ამბობდა მარკ ტვენი, რომელმაც არაერთი აფორიზმი დაგვიტოვა ამ თემაზე. განა რომელიმე ჩვენგანს სურს დაიჯეროს, რომ გააბითურეს და ამბავი, რომელიც დიდხანს სჯეროდა, ტყუილია? გაცილებით უკეთესია ირწმუნო, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა.

ახალი ლიტურგიული გზის დასაწყისს (29 ნოემბრიდან), გავიხსენოთ ჩვენი ეპისკოპოსის სიტყვები, ამონარიდი მისი წლევანდელი მშვენიერი სამწყსო წერილიდან, რითაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა ჩვენი პაპის აზრი კათოლიკური ეკლესიის სწავლებისა და, უპირველესად, ღვთის სიტყვის შესახებ: „როდესაც სიწმიდეზე ვფიქრობთ... გვიჭირს მის თვისებათა შორის მივათვალოთ სამართლიანობისათვის მებრძოლის, ბოროტების მთელი ძალით მხილების უნარი, რომელსაც შეუძლია ხმის ამაღლებაც და ბრძოლაც უსამართლობის გარკვეული სტრუქტურების წინააღმდეგ... როდესაც არაფერს ვაკეთებთ

ბოროტის წინააღმდეგ, საერთო ბოროტების თანამონაწილენი ვხდებით. ეს ცოდვაა და, ამდენად, სიწმიდის გზას ეწინააღმდეგება... მრავალი წმიდანი, განსაკუთრებულად და აქტიურად ჩაბმულნი თავიანთი საზოგადოების ბრძოლებში - განსაკუთრებით დღევანდელი წმიდანები - ჩვენთვის არიან იმ ადამიანების მაგალითი, ვისაც შეუძლია ბრძოლა, მხილება, სამართლიანობის გამო, მაშასადამე, სხვათა ტირანიით დაჩაგრული ყველაზე უძლური ადამიანის დაცვის გამო სიკვდილი... ქრისტიანის ცხოვრება მუდმივი ბრძოლაა. ძალა და გამშედაობაა საჭირო იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ ეშმაკის ცდუნებებს და ვაუნწოთ სახარება. ეს ბრძოლა საოცრად ლამაზია, რამეთუ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ყოველთვის ვზემობდეთ, როდესაც უფალი ჩვენს ცხოვრებაში იმარჯვებს“.

იაკობი სთავაზობს ესავს კერძს პირმშოობის სანაცვლოდ,  
ზაქარია ველასკესი, მე-18 ს.



გამოვა აუბის!  
გამოვა ასკ ცეკვების წილი!



### ამა მიხეილ ცერმავა

დღეს კვლავ იწყება ადვენტი - იწყება ახალი საეკლესიო ლიტურგიული წელი. ამ ადვენტის ჟამს ყველას გისურვებთ წინსვლას სიწმიდის გზაზე; მთელი 2020 წლის განმავლობაში ვფიქრობდით, ფართოდ გაგვეხსნა გული ღმერთისთვის, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიის, კოვიდ-19 პანდემიის რთულ პერიოდში.

მადლობა ყველას, ჩვენი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ვინც ჩვენ გვერდით იმყოფებოდა სიწმიდისადმი მიძღვნილი წლის ამ პერიოდის განმავლობაში, რომელიც ახლახან დასრულდა. მადლობა ჩვენი უურნალის, „საბას“ სტატიების ავტორებს (მამა გაბრიელეს, მერაბ ლალანიძეს, ნუგზარ ბარდაველიძეს, ვერიკო ნოზაძეს, ცი-

ცინო ხითარიშვილს, შორენა პარუნაშვილს, ნატო ბიგვავას, რუსუდან ავალიშვილს და სპეციალურ კორესპონდენტებს), ყველას, ვინც კითხულობდა და ლოცულობდა ჩვენთან ერთად და ჩვენთვის. მადლობა მათ, ვინც გვეხმარებოდა და გვეხმარება ამ გამოცემის გამოშვებაში, რომელიც უკვე 25 წელია ჩვენი ადგილობრივი ეკლესიის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს. მადლობა ყველას, ვინც ზრუნავდა ტექნიკურ მხარეზე, ვინც ამონტმებდა, ასწორებდა და ამზადებდა საბეჭდ ვერსიას (ვერიკო ნოზაძეს, ზაზა ჩუგოშვილს, თამარ სტეფანაძეს). ყველას დიდი მადლობა - დარჩით ჩვენთან ერთად ამ ახალ წელსაც.



## მეტი საზრდო ადვენტი ფიქრისთვის

შობის სიხარულით მოლოდინის ჟამს, ღირს დაფიქრება იმ მიზეზბზე, რატომ მოგვიცავს ხოლმე ასე ხშირად სევდა. რისთვის ვწუხვართ, როცა ასეთი სასოება და იმედი გვაქვს? რით ვართ უკამაყოფილო, როდესაც ზოგჯერ ვფლობთ იმას, რის შესახებაც სხვები ოცნებასაც კი ვერ ბედავენ? შეგვიძლია გულწრფელად ვუპასუხოთ ამ კითხვებს? ვფიქრობთ კი ხშირად, რისთვის უნდა ვმადლობდეთ ღმერთს? ვიცით კი როგორ გამოვხატოთ მისდამი მადლიერება? რაღაცის ქონას ზოგჯერ აღვიქვამთ, როგორც აუცილებელს და უფრო მეტის მიღება გვინდა. თუ ეს არ გამოგვივიდა, ან დავკარგეთ, რაც გაგვაჩნდა, მხოლოდ მოგვიანებით ვხვდებით მის ფასს და ზოგჯერ სევდა გვიპყრობს, განრისხებულნი ვართ იმ გარემოებათა გამო, რამაც ეს განაპირობა, ღმერთზეც კი ვპრაზობთ. მაგრამ ერთხელ მაინც თუ დავფიქრებულვართ, რატომ უნდა მომხდარიყო ასე? დაგვისამს კი კითხვა „რისთვის?“ ნაცვლად კითხვისა „რატომ?“

ამ სევდის საფუძველი, უწინარესად, უმადურობაა, ხოლო უმადურობის ფესვები გაუბედაობა, ყველას როდი ძალუძს საკუთარ თავსაც კი გამოუტყდეს ამაში. ერთხელ ჩემმა მეგობარმა ქალმა მითხრა: „არავის სურს ღვთისადმი მსახურება. ყველას უნდა, რომ ღმერთი მას ემსახუროს“. თუ გულში ღრმად ჩავიხედავთ, ნამდვილად დავრწმუნდებით, რომ სწორედ ასეა.

პირველი ნაბიჯი ამ სევდისაგან გასათავისუფლებლად ისაა, რომ ვმადლობდეთ ღმერთს ყოვე-

ლივესთვის, რაც გვაქვს, ასევე, იმისთვის, რასაც არ გვაძლევს. რადგან თუ არ გვაძლევს, ნიშნავს, რომ ჩვენ ეს არ გვჭირდება, ან მოგვიმზადა უკეთესი, როგორც მზრუნველმა მამამ. მეორე ნაბიჯი ღვთისადმი ნდობაა. რწმენა, რომ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც უკეთესია ჩვენთვის და გარშემომყოფთათვის. თუ ახლა გვეჩვენება კიდეც, რომ ასე არაა, მერე გამოირკვევა, რომ ყველაფერი მხოლოდ სასიკეთოდ ყოფილა. მესამე - ნებისმიერი უსიამოვნება აღვიქვათ როგორც ზევიდან მოცემული დავალება, რომელიც საუკეთესო გზით უნდა გადავჭრათ. და მეოთხე - „დააფასე ის, რაც გაქვს. გიყვარდეს, ვიდრე არ დაგიკარგავს“. თუ ვწუხვართ მხოლოდ იმაზე, რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდით, მაშინ საერთოდ არ დაგვრჩება ღრო სიყვარულისთვის და ჩვენი ცხოვრება გადაიქცევა ერთიან სინანულად. ღმერთმა ხომ თავის მსახურთა მეშვეობით დაგვიტოვა მცნებად: „მუდამ ხარობდეთ; ილოცეთ განუწყვეტლივ; მადლიერნი იყავით ყველაფრისათვის“ (1თეს. 5:16-18). თუკი ჩვენ ვისწავლით ყოველდღიურ წვრილმანებში ღვთის სასწაულისა და წყალობის დანახვას, მივხვდებით რაოდენ ბედნიერნი ვართ. განა უადგილო არაა სევდა ამ ყოველივეს შეცნობის შემდეგ? თავისი ჭეშმარიტი წყალობით ღმერთმა მოგვმადლა მაცხოვარი... იყავი მადლიერი, მიენდე, მიიღე, ილოცე და ელოდე! ის მაღე მოვა და განაახლებს დედამიწის სახეს!

**ახალი უმისთვის, ადვენტის კარგად და ღრმად განცდისთვის გაკურთხოთ ყოვლისძემძლე ღმერთმა, მამამ, ძემ და სულმა წმიდამ.**

# ქრისტი

## 2023 წლის მუზეუმების კვლევა დანხერა



წმიდა საყდრის პრესცენტრის ცნობით, ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების გამო, იტალიის მიერ გაცემული განკარგულებების თანახმად, 5 წოებიდან 3 დეკემბრამდე ვატიკანის მუზეუმები მნახველებისთვის დაიკეტება. პანდემის პირველი ტალღის შეჩერების მიზნით დადგენილი შეზღუდვების გამო, ვატიკანის მუზეუმები ვიზიტორებისთვის თითქმის სამი თვით დაიხურა და მხოლოდ 1 ივნისს გაიხსნა. ზაფხულის განმავლობაში სხვადასხვა ექსპოზიცია ათასობით სტუმარმა ინახულა. პანდემიამდე ვატიკანის მუზეუმებს ყოველდღიურად დაახლოებით ოცი ათასი ტურისტი სტუმრობდა.

## კონტიფესი აშშ-ს ახალარჩეულ არაზოგრაფის ესაუბრა

წმიდა საყდრის პრესცენტრის დირექტორმა, მატეო ბრუნიმ დაადასტურა აშშ-ს მასმედიაში გავრცელებული ცნობა რომის პაპისა და ქვეყნის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის სატელეფონო საუბრის შესახებ. უწმიდესი ფრანცისკე ბაიდენს



12 წოებერს ესაუბრა. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა პონტიფექს მოლოცვისთვის და იმედი გამოთქვა, რომ წმიდა საყდრისა და აშშ-ს თანამშრომლობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის დაცვა, კლიმატის ცვლილება, მიგრანტების, ლტოლვილების, დატაკებისა და გარიყულებისთვის ზრუნვა, ნაყოფს გამოიღებს. ჯო ბაიდენი ამერიკის მეორე კათოლიკე პრეზიდენტია (ჯონ კენედის შემდეგ). ახალ პრეზიდენტს გამარჯვება ამერიკის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის წევრებმაც მიულოცეს. „დემოკრატია ჩვენგან სამართლიან მოქმედებასა და თვითდისციპლინას მოითხოვს. პატივი უნდა ვცეთ გამოხატვის თავისუფლებას, სიყვარულით და გულისხმიერებით უნდა მოვე პყროთ ერთმანეთს, თუნდაც დებატებისას ჩვენი აზრები კანონმდებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ამა თუ იმ პუნქტში ძირებულად განსხვავებული იყოს“, - ნათქვამია ეპისკოპოსთა კონფერენციის მიმართვაში.

## უმილესმა ფრანცისკემ ტერორიზმისა და სიძულვილის მსხვერპლთათვის ილოცა

4 წოებერს სამოციქულო სასახლის ბიბლიოთეკიდან უწმიდესმა პაპმა მორწმუნებს მიმართა: „ამ დღეებში ვლოცულობდით და ვიხსენიებთ უდანაშაულო ადამიანებს, რომლებიც ბოლო დროს ევროპის სხვადასხვა ქალაქებში განხორციელებულ ტერაქტებს ემსხვერპლნენ. გავიხსენოთ თავდასხმა ტაძარზე ნიცაში და გუშინდელი თავდასხმა ვენის ქუჩებში. მივანდობ დალუპულთ ღმრთის გულმონყალებას. სულიერ სიახლოვეს გამოვხატავ მათი ოჯახებისა და იმ ადამიანთა მიმართ, ვინც ამ მოვლენათა გამო დაზარალდა და იტანჯება. ამ სისასტიკის მიზანი ძალადობისა და სიძულვილის მეშვეობით რელიგიათა შორის არსებული ძმური თანადგომის მოსპობაა“.

2 წოებერს, ადგილობრივი დროით საღამოს 8 საათზე, შეიარაღებულმა თავდასხმელმა ცეცხლი გაუხსნა გამვლელებსა და მიმდებარე რესტორნებისა და კაფეების სტუმრებს. შედეგად, დაიღუპა სამი ადამიანი. თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე, თავდასხმელმა, 20 წლის ფეიზულა კუიტიმმა ინსტაგრამში პოსტი განათავსა, რომელშიც ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ერთგულების ფიცი დადო.





29 ოქტომბერს, დილის 9 საათზე დანით შეიარაღებული ტუნისელი მიგრანტი, 21 წლის ბრაჟიმ აუისაუი შეიჭრა ნიცის ღმრთისმშობლის ტაძარში. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი ქალი და ერთი მამაკაცი.

ევროკავშირის ეპისკოპოსთა კონფერენციის კომისიის თავმჯდომარემ, ლუქსემბურგის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა უან კლოდ პოლერიშმა მოუწოდა მორწმუნებს და საერთაშორისო საზოგადოებრიობას, თავი შეიკავონ ტერაქტების გამო მუსლიმთა და მიგრანტთა მიმართ ბრალდებების გამოთქმისგან. „ნუ მივაწერთ ტერორიზმს ისლამს. მაჰმად მოციქულს შერცხვებოდა ნიცაში მომხდარი თავდასხმის გამო. ისიც ხომ ბევრჯერ გაუქრიტიკებიათ მისი ცხოვრების წესისისთვის, თუმცა აუგი გულთან ახლოს არ მიუტანია და გულით ბოლმა არასდროს უტარებია“, - განაცხადა იერარქმა.

## ახალი შეზღუდვები არ უდებები მივიღოთ, რომორც თავდასხმა რწმოვაზე



ახალი შეზღუდვების თანახმად, გაერთიანებული სამეფოს ტაძრებში 2 დეკემბრამდე იკრძალება ღმრთისმსახურება მრევლის მონაწილეობით. მორწმუნებისადმი საგანგებო მიმართვაში ინგლისისა და უელსის ეპისკოპოსთა კონფერენციის მეთაური, მთავარეპისკოპოსი ვინსენტ ნიკოლსი და ვიცეპრეზიდენტი, მთავარეპისკოპოსი მალკოლმ

მაკ მეპონი აღნიშნავენ: „ძალზე მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ეს აკრძალვები არ უნდა მივიღოთ, როგორც რწმენაზე თავდასხმა“. უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრების კარი ღიაა და ახალი რეგულაციებით ნებადართულია პანაშვიდი და მიცვალებულთათვის წესის აგება ტაძარში; არ იკრძალება ასევე ტაძარში განმარტოებით ლოცვა.

## ახალგაზრდა ერაყელი მუსლიმები კათოლიკურ ტაძარს აღადგენენ

მოსულის მუსლიმი ახალგაზრდები საკუთარი სახსრებითა და ძალებით აღადგენენ წმიდა თომა



მოციქულის კათოლიკურ ტაძარს, რომელიც ქალაქში ე. წ. „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებული დაჯგუფების შემოქრის დროს დაზიანდა და გაიძარცვა. ამგვარად, ადგილობრივ მოსახლეობას სურს მოიშოროს საშინელი მოგონებები კაცისმკვლელთა სისასტიკის შესახებ და დასაბამი დაუდოს მოსულის - მრავალკონფესიური და მრავალეროვანი ქალაქის სრულ აღდგენას. „მივმართავთ ქრისტიანებს, რომელთაც სამშობლო დაატოვებინეს: დაბრუნდით! თქვენი ადგილი აქ არის. უნინდელი მოსული უთქვენოდ ვერ იარსებებს. ჩვენ კი ერთგულებას და თქვენი სიწმიდეებისთვის ზრუნვას გპირდებით“, - განაცხადა მოხალისეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მოჰამედ ესამმა.

**თარგმანი  
რუსულად ავალიშვილება**



გაზეთ „საბას“ ჰქონდა წინაიტორია. პირველი ნომერი გამოიდა სახელწოდებით - „კლდე“. გაზეთი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო რეგისტრირებული, თუმცა 500 ეგზემპლარის მის გარეშე გამოცემა უკანონობად არ ითვლებოდა. გაზეთის გამოცემის აუცილებლობა, მიზნები და ამოცანები ამ ნომრის რედაქტორის გვერდზე გავაცანი მკითხველს, იმის ხაზგასმით, რომ საქართველოს იმდროინდელ რეალობაში განსაკუთრებით გააქტიურებული რეაქციული ძალები დაუინებით ცდილობდნენ, ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ჩაენერგათ ევროპული სულიერებისა და ღირებულებებისადმი გაუცხოებისა და მიუღებლობის სინდრომი. მართლმადიდებლობის ფაქტორი კი ქართველებზე ფსიქოლოგიური ზენტრის იარაღად გამოეყენებინათ, რათა რუსეთთან კონფესიური ერთობის საბაბით ჩვენი ქვეყანა, ბრძოლითა და სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობის მიუხედავად, კვლავ იმ სივრცეში დაეპრუნებინათ, რომელიც რუსეთის იმპერიულმა ძალებმა შემოგვისაზღვრეს და რომელსაც დღემდე თავიანთ სათარეშო ზონად მოიაზრებენ. უსამართლობასთან ბრძოლა, სიცრუისა და ცილისწამების ნიაღვართან

## ზემოხურითობა თუ განვერზის ნიშანი?

განანა ანდრიაძე

დაპირისპირება, მხილება, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ღირსშესანიშნავი ტრადიციებისა და უამრავ გამოჩენილ ქართველ კათოლიკეთა ღვაწლის წარმოჩენა, კათოლიკური ეკლესიის მაშინდელი მრევლის სულიერ მოთხოვნილებათა, სრული თვითგამოხატვისა და რეალიზების სურვილის დაკამაყოფილება იყო გაზეთის მთავარი მიზანი. მცდელობას არ ვაკლებდი, რომ გაზეთს ოფიციალური სტატუსი შეეძინა, მაგრამ იუსტიციის სამინისტრო ჩემს განცხადებას ან უპასუხოდ ტოვებდა, ან დაუსაბუთებელი უარით მისტუმრებდა. არ ვიცი, შემთხვევითობას უნდა მივაწერო თუ განგების წყალობას: როგორც „რუსთაველის საზოგადოების“ წევრი, ვესწრებოდი მის ყრილობებს. ერთ შეერებაზე შემთხვევით აღმოვჩნდი იუსტიციის მინისტრის გვერდით (ჩემ გვერდით თავისუფალი სკამი დაიკავა). ბედად, ჩანთაში ახლად გამოცემული „კლდე“ მედო. გამოვესაუბრე, ავუხსენი ვითარება, ინტერესით მთხოვა გაზეთი, რომელიც თან წაიღო და ერთ კეირაში მივაღწიე გაზეთის დარეგისტრირებას, ოღონდ ახალი სახელით - „საქართველოს კათოლიკე“. მითხრეს, რომ სახელით „კლდე“ ვიღაცას უკვე დარეგისტრირებული ჰქონდა რაღაც. გავიხსენებ მეორე ხელისშემწყობ ფაქტსაც: მძიმე და ბნელი 90-იანი წლების ერთ დილას ვიღვიძებ და ვიხედები კორპუსის ეზოში, სადაც ჩემი ოთხისუთი წლის წინათ შეძენილი ჟიგული-06 მეგულება. ვხედავ, არცერთი საბურავი არ აქვს, სალონიც გაძარცული აღმოჩნდა. მივხდით, რომ მალე შეიძლე-

ბოდა ავტომობილი საერთოდ დაგვეკარგა და გავყიდეთ, მით უფრო, რომ მალე ისედაც მოგვინევდა არსებობისათვის ბრძოლა. სწორედ იმ ფულის ნაწილით შევძლი რამდენიმე ნომრის გამოცემა. შემდეგ იყო ნუნციუს უან პოლ გობელის თანადგომა, მორალური და მატერიალური დახმარება, მისი საქართველოში მსახურების ამონტურვის შემდეგ, კრიტიკულ მომენტში, ხელი გამოგვიწოდა მამა ვიტოლდმა, საქართველოს „კარიტასის“ ხელმძღვანელმა, საბოლოოდ კი მეუფე ჯუზეპემ, ადმინისტრაციის მკაცრად განსაზღვრული მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში, აიღო გაზეთ „საბაზე“ მეურვეობა. გარკვეული პერიოდი გაზეთი „საქართველოს კათოლიკე“ გამოდიოდა მიხეილ თამარაშვილის საქელმოქმედო საზოგადოების ეგიდით (პრეზიდენტი სერგო ფეიქრიშვილი) და ჩემი რედაქტორობით. ამგვარი თანამშრომლობა გავრცელდა სამ გამოცემაზე. გაზეთმა სხვა რედაქტორისა და სარედაქტო ჯგუფის პირობებში განაგრძო საქმიანობა, მე კი, ჩემი მკაფიოდ განსაზღვრული საგაზითო მიზნებიდან გამომდინარე, დავაუფუძნე გაზეთი „საბა“, რომლის პირველი ნომერი გამოიცა 1994 წლის ივლისში. მოგვიანებით, „საქართველოს კათოლიკე“, ბატონი სერგო ფეიქრიშვილის ხელმძღვანელობით, და „საბა“ გაერთიანდა. თერთმეტი წელი ვიყავი ამ გაზეთის რედაქტორი და მივაღწიე თუ არა გარკვეულ მიზანს, დაე, მკითხველმა განსაზღვროს. მკითხველს დავემშვიდობე და ნაწილობრივ მიზეზიც ავხსენი 2005 წლის მე-4-5 ნომერში (აპრილ-მაისი).





## „საპა“ - ჩვენი სიყვარული



**ნუგზარ ბარდაველიძე**

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს კათოლიკე ეკლესიამ რამდენიმე საიუბილეო თარიღი აღნიშნა; გარდა იმისა, რომ შესრულდა 350 წელი კაპუცინთა ორდენის მიერ ქალაქ გორის კათოლიკური საკურებულოს დაარსებიდან, უახლესი ისტორიის რამდენიმე თარიღიც საზეიმოდ აღინიშნა: წმ. დედა ტერეზას გულმოწყალების კონგრეგაციის მისის დაფუძნების 30 წლისთავი, სამხრეთ კავკასიაში სამოციქულო აღმინისტრაციის დაფუძნების 25 წლისთავი, ვალეს ტაძრის აღდგენის 30 წლისთავი, თბილისის საკათედრო ტაძრის აღდგენის 20 წლისთავი, მეუღვე ჯუზეპე პაზოტის ეპისკოპოსად ხელდასხმის 20 წლისთავი, მომავალ წელს შესრულდება სულხან-საბაორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის დაფუძნებიდან 20 წელი... საქართველოში კათოლიკე ეკლესიის უახლესი ისტორიის ამ ღირშესანიშნავ თარიღებს ემატება ყოველთვიური კათოლიკური მაცნეს, „საპას“ საიუბილეო მე-300 წომრის გამოსვლაც. საერთო ჯამში კი, მცირე იუბილეები შეგვასენებენ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში განახლებულმა კათოლიკე ეკლესიამ თავისი ფორმირების საწყისი ეტაპი გაიარა და მის წინაშე ახალი, ფართო და რთული ჰორიზონტები იშლება.

## საგანგებო

◀ სამხრეთ კავკასიაში კათოლიკე ეკლესიის ერთადერთი ბეჭდვითი ორგანოს, „საბას“ დაარსებიდან 25 წელი, ხოლო მისი განახლებისა და ყოველთვიურ თანამედროვე პოლიგრაფიული დონის უურნალად გარდაქმნის 15 წელი შესრულდა. დღეს კი ჩვენს ერთგულ მკითხველს საშუალება აქვს, „საბას“ საიუბილეო მე-300 წლების გაეცნოს. „საბამდე“ ორიოდე წლით ადრე კი გაზირი „საქართველოს კათოლიკე“ გამოვიდა, რომელიც თავის დროზე ხელმონერის კატალოგშიც იყო შესული და დღესათვის კი უკვე რარიტეტს წარმოადგენს. „საბაში“ პირველი სტატია ზუსტად 20 წლის წინ გამოვაქვეყნება და მას შემდეგ იგი იქცა ჩემს უსაყვარლეს გამოცემად, რომელსაც ორი ათეული წელია არ ვღალატობ. გავიდა დრო და, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, ამ 15 წლის წინ „საბა“, უკვე განახლებული სარედაქციო კოლეგით, მრავალფეროვანი რუბრიკებითა და გაზრდილი ფორმატით, მაღალპოლიგრაფიული დონის უურნალად გარდაიქმნა. დღეს „საბა“ წებისმიერი გე-

მოვნებისა და ინტერესის მკითხველზეა ორიენტირებული. მის მრავალფეროვან რუბრიკებში თავისთვის საინტერესო მასალას პოულობენ როგორც კათოლიკე, ასევე, მართლმადიდებელი და პროტესტანტული ეკლესიის მრევლის წევრები, ეკლესიათაშორისი, თეოლოგიური, ისტორიული, სოციალური თემატიკით დაინტერესებული მკითხველი, მათ შორის, სრულიად არაეკლესიური ადამიანებიც. განსაკუთრებული ინტერესით მოელიან ჩვენს უურნალს მეცნიერ-მკვლევარები და სტუდენტები, რომლებიც კათოლიკე ეკლესიის ისტორიის შესწავლით და კვლევით არიან დაკავებულნი. ბოლო წლებში, როდესაც მრავალი დამწყები თუ უკვე გამოცდილი მეცნიერი ირჩევს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის შესწავლას, მათთვის „საბა“ შეუცვლელ წერილობით ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი უურნალი ისტორიკოსთა დიდ დაინტერესებას იწვევს და ისინი მისი სისტემატური მკითხველები არიან. ასევე, აღსანიშნავია, რომ „საბა“ არ კმაყოფილდება მიღწეულით, ის მუდმივ

განახლებასა და განვითარებაშია, განსაკუთრებით ბოლო 15 წლის მანძილზე, როდესაც გამოცემამ თვისობრივი ცვლილება განიცადა. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა, „საბას“ იუბილე მიუულოცო მის პირველ რედაქტორს, მანანა ანდრიაძეს და ღვანლომსილ მუშაკს, ციცინო ხითარიშვილს, ყველა ტექნიკურ მუშაკს, რომელთა დაუღალავი საქმიანობით იქმნებოდა გაზირი „საბას“ ისტორია; ვისაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა „საბას“ გამოცემასა და მკითხველამდე მიტანაში, მათი დამსახურებით დღეს გვაქვს „საბას“ მე-300 წლები. მადლობა მერაბ ლალანიძესა და განახლებული „საბას“ სარედაქციო კოლეგიის წევრებს. მათი ინიციატივისა და თანამედროვე გამოწვევათა გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა „საბას“ თვისობრივი და ხარისხობრივი გარდაქმნა. ამ რეფორმის შემდგომ „საბამ“ უურნალის სახე და განახლებული თანამედროვე ფორმა შეიძინა. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლიგრაფიული თვალსაზრისით „საბა“ საქართველოს მცირებიურეტიანი ბეჭდვითი გამოცემების ლიდერთა შორისაა, რაშიც დიდი წვლილი მამა მიხეილ სურმავას მიუძღვის. მადლობა უურნალის ყველა ავტორს და, ცხადია, მამა გაბრიელეს, როგორც ყველაზე ნაყოფიერ ავტორს და ბოლო 15 წლის მანძილზე უურნალის მთავარ რედაქტორს; განსაკუთრებული მადლობა მეუფე ჯუზეპეს მისი მუდმივი ზრუნვისა და საჭირო რჩევებისათვის, რაც ჩვენი უურნალის ხარისხობრივი დონის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. და, რა თქმაუნდა, ყველაზე დიდი მადლობა ჩვენს მკითხველს, ვინც თვიდან თვემდე მოელის „საბას“ ახალი ნომრის გამოსვლას.



# ჩანართი

+ ქოჩე ა. ბერიეური, ხეილა  
საყდრის დესპანი



პატივცემულო მამა გაბრიელე  
ბრაგანტინი და ჟურნალ „საბას“  
რედაქტორი,

ჟურნალ „საბას“ მე-300 ნომ-  
რის გამოცემასა და ჟურნალის  
რედაქტორის დაარსების 25-ე  
წლისთავთან დაკავშირებით,  
მსურს, მოგილოცოთ ეს საამაყო  
მოვლენები და მადლობა მოგახ-  
სენოთ კათოლიკე ეკლესიისა და  
კათოლიკური საკრებულოსად-  
მი განეული ესოდენ ფასეული  
სამსახურისთვის.

ჟურნალი „საბას“ დიდად პოპუ-  
ლარული და დაფასებული პერი-  
ოდული გამოცემაა, რომელიც  
მოიცავს სიახლეებს, სტატიებს,  
ნაშრომებსა და ილუსტრაციებს  
სამხრეთ კავკასიაში კათოლი-  
კური ყოფნის შესახებ. მას დიდი  
დამსახურება მიუძღვის კათო-  
ლიკური საკრებულოს წინაშე  
- იგი აღნუსხავს, აღწერს და  
მკითხველს ამცნობს კათოლი-  
კური ყოფნის ისტორიას, კერ-  
ძოდ, პაპების ვიზიტებს, ეკლე-  
სიების კურთხევას, საეკლესიო  
დღესასწაულებს და მნიშვნელო-  
ვან პიროვნულ თუ ისტორიულ  
მოვლენებს. ამავე დროს, მის  
ფურცლებზე ხდება ჩაღრმავე-  
ბული განსჯა იმისა, თუ რა-  
ოდენ მნიშვნელოვანია ქრისტეს

სულ უფრო მზარდი ყოფნა ჩვენ  
შორის.

მსურს, მადლობა მოგახსენოთ  
თქვენ და ჟურნალ „საბას“ მთელ  
რედაქტორის საუკუნის მეოთხე-  
დის მანძილზე განეული თავ-  
დადებული შრომისთვის, რამაც  
დიდი სარგებლობა მოუტანა  
კათოლიკე ეკლესიას. გილო-  
ცავთ ამ „ვერცხლის იუბილეს“  
და გისურვებთ კიდევ მრავალი  
სახელმოვანი წლისთავის ზემო-  
ბას. დაე, ჩვენმა ზეციერმა დედა  
მარიამმა გვიმეობოს და კეთილ-  
მა უფალმა ლოცვა-კურთხევა არ  
მოაკლოს თქვენს გამორჩეულ  
საქმიანობას. გმადლობთ.

**ჩეკა მიცდიაშვილი, სახალხო  
დამცველთან არსებული ფოლ-  
ერათობის ცენტრი**



სიხარულით მინდა მივულოცო  
ჟურნალ „საბას“ დაარსებიდან 25  
წელი და მე-300 ნომრის გამოს-  
ვლა. „საბას“ კათოლიკე ეკლესიის  
რელიგიური ჟურნალია. წლების  
განმავლობაში იგი ზრუნავს არა  
მარტო იმაზე, რომ კათოლიკე  
მრევლი საინტერესო სიახლეე-  
ბითა და სასარგებლო კონფესი-  
ური ლიტერატურით მოამარა-  
გოს, არამედ მისი სივრცე ლიაა  
სხვა აღმსარებლობებისთვისაც.  
ამ მხრივ, „საბას“ თანმიმდევრუ-  
ლად დგას რელიგიებს შორის  
მშვიდობის, რელიგიის თავისუ-  
ფლების დაცვისა და ტოლერან-

ტული ურთიერთობების განვი-  
თარების სამსახურში. ზოგადად,  
ქართველი მკითხველი არ ვართ  
განებივრებული ხარისხიანი რე-  
ლიგიური პერიოდიკით, მაგრამ,  
ამ მხრივ, „საბას“ გამონაკლისია  
და მის რეპორტაჟებსა და პუბ-  
ლიკაციებს დიდი ყურადღებით  
ვეცნობი. კიდევ ერთხელ ვულო-  
ცავ „საბას“, ჟურნალის სარე-  
დაქციო ჯგუფს, ავტორებსა და  
მკითხველს და ვუსურვებ უაღ-  
რესად საინტერესო მოგზაუ-  
რობის გაგრძელებას კათოლიკე  
ეკლესიისა და, ასევე, სხვა აღმ-  
სარებლობების სამრევლო და ინ-  
ტელექტუალურ - თეოლოგიურ  
სამყაროში, ასევე, ვუსურვებ  
ტირაჟისა და მკითხველთა წრის  
გაფართოებასა და გაზრდას.

**სირგო რატიანი, საქართ-  
ველოს პარლამენტის წევრი**

„საბას“ სარედაქციო კო-  
ლეგიას, თანამშრომლებსა და  
მკითხველებს ვულოცავ და-  
ფუძნების 25-ე წლისთავსა და  
ტოლერანტობის ქომაგის საპა-  
ტიო ტიტულის მინიჭებას. საბ-  
ჭოთა მენტალობის დასაძლევად  
დასავლური ლიტებულებების  
ერთგულება და პოპულარიზაცია  
უმიშვნელოვანესი გამოწვევაა  
ჩვენი კულტურისთვის. მადლო-  
ბა „საბას“.



**ეპისკოპოსი რუსულან გოცი-  
რიძე, საქართველოს ეპარქი-  
ურ-გარემონტური ეკლესია**



ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია და მშვიდობის კათედრალი ულოცავს უურნალ „საბას“ საიუბილეო თარიღს. გვიხარია, რომ ეს უურნალი უკვე 25 წელია ფუნქციონირებს და ის მხოლოდ ვიწრო სამრევლო გამომცემლობა კი არ არის, არამედ ხშირად ეხება იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რაც ეკუმენურ სივრცეში ტრიალებს.

გვჯერა, რომ 2020 წლის ტოლერანტობის ქომაგის ჯილდო სრულებით ღირსეულად მიიღო უურნალმა, რომლის მე-300 საიუბილეო გამოცემამ უკვე იხილა დღის სინათლე. გისურვებთ კიდევ დიდხანს შეძლოთ საკუთარი მრევლისა და ქართული საზოგადოებისათვის ღირსეული სამსახური.

**პასტორი ირინა სოლივი, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ეპარქელურ-ლუთ-ერული ეკლესია; დოკ. ელენა ილინეცი, „საეკლესიო მაცნეს“ რედაქტორი**

საქართველოში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიასა და მისი ყოველთვიური „საეკლესიო მაცნეს“ რედაქციის სახელით, ვულოცავთ უურნალ

„საბას“ 25-წლიან იუბილეს და დიდ მადლობას ვუხდით ნაყოფიერი და ძალზე მნიშვნელოვანი საქმიანობისათვის. ცნობილია, რომ კათოლიკე და ლუთერულ ეკლესიებს საერთო ისტორიული და თეოლოგიური საფუძველი აქვთ. მაგრამ არა მარტო წარსული გვაერთიანებს, არამედ აწმყო და მომავალიც, რადგან საქართველოში ორივე ეკლესიას მრავალწლოვანი, შედეგიანი თანამშრომლობა ახასიათებს, ეკლესიურ, სოციალურ და დიაკონურ სფეროებში. „საბას“ შეაქვს შეუდარებელი წვლილი ამ თანამშრომლობაში თავისი რეგულარული, ვრცელი ინფორმაციით ლუთერული ეკლესის, მისი ისტორიის, სწავლებისა და



საქმიანობის შესახებ, რაშიც პირადად დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ნუგზარ ბარდაველიძეს. მეგობრული, ტოლერანტული ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების ერთ-ერთი პირობაა ის, რომ მედიის სამუალებებმა გაავრცელონ სწორი და გულწრფელი ინფორმაცია სხვადასხვა კონფესიებისა და რელიგიების შესახებ და გააცნონ მეითხველსა და მაყურებელს საქართველოში არსებული მრავალფეროვანი გარემო. ამ ფუნქციას სრულყოფილად ას-

რულებს მრავალი წლის განმავლობაში „საბა“, თავისი მაღალხარისხოვანი ილუსტრაციებითა და საინტერესო შინაარსით. კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს და სარედაქციო გუნდს, მამა გაბრიელე ბრაგანტინის ხელმძღვანელობით, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მსახურებას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სადიდებლად.

**მამა პირ დიუხულენი, პირებისთვის, პროფესორი  
(საფრანგეთი)**

ვულოცავ უურნალ „საბას“ 25 წლის იუბილეს! საუკუნის მეოთხედი - ეს ხომ „ვერცხლის ქორწილია!“ უღრმესი მადლობა ყველას, ვინც დიდი სიყვარულით დაუღალვად შრომბდა ჯერ ჩვენი კათოლიკური გაზიეთის, და შემდგომ უკვე უურნალის შექმნისთვის და განვითარებისთვის. ნებისმიერ საქმეს თან ახლავს სირთულეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „საბა“ ყოველთვის იცავდა და იცავს ჩვენი სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ისტორიას, მკითხველს ყოველთვის სთავაზობს მასალას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ეკლესიის სულიერი ცხოვრებისთვის და საკრებულოებს შორის კავშირის დამყარებისთვის.



ადვენტით იწყება ახალი ლიტურგიული წელიწადი, ხოლო ეს იუბილე მოგვიწოდებს ნდობისთვის და ერთგულებისთვის. შევხედავთ რა განვლილს, შეგვიძლია მტკიცე რწმენით გავაგრძელოთ გზა უფალთან შესახვედრად.

მადლობა, უფალო, შენი მუდმივი დახმარებისთვის, შენს მსახურთა დიდსულოვნებისთვის და ძალისხმევისთვის და იმისთვის, რომ ცოცხალია საქართველოში ჩვენი ერთი, წმიდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესია!

ამ მშვენიერი უურნალის ყველა თანამშრომელი და მკითხველი დაე, დალოცვილი იყოს უფლის მიერ!

**ს:** საქართველო  
**ა:** აღმინისტრაცია  
**პ:** ბეჭნიერი დაბადების დღე  
**ა:** ალელუია!

მამა აკაკი ჭელიძე, ასპინძის რაიონის ხიზაჲავრა-ვარგავის კათოლიკური სამრევლოს წინამდღვარი



ყოველი იუბილე გავლილი გზის დაფასებაა და ზემო, განული ღვაწლის აღნიშვნა. ასპინძის რაიონის კათოლიკენი გულითად მადლობას უძღვნიან „საბას“ სარედაქციო კოლეგიას იმ ერთგულებისათვის, რომლითაც

წლების მანძილზე ემსახურებიან ჩვენი ეკლესიის ამ მნიშვნელოვან საქმეს. ამ ერთგული მსახურების ერთ-ერთი ნაყოფი სწორედ ისაა, რომ არა მხოლოდ მრავალი აქტიური მორწმუნე სიხარულით მოელის ყოველ ახალ წომერს, არამედ იმათაც სწვდება საეკლესიო მაცნის ხმა, რომლებიც ხანდაზმულობის ან სხვა მიზეზთა გამო ვერ დადიან ეკლესიაში და არაერთი არაკათოლიკე მეგობრისთვისაც გამხდარა ის რეგულარული საკითხავი.

**მამა ზურაბ პაკაჩიშვილი, თბილისის საკათედრო ტაძრისა და ქ. რუსთავის კათოლიკური სამრევლოს წინამდღვარი**



ციფრული ტექნიკის ეპოქაშიც კი ბეჭდვით სიტყვას არ დაუკარგავს თავისი ადგილი და მისია. როგორც აღრე, ასევე ამჟამადაც ასრულებს თავის დიდ როლს საზოგადოების განსწავლა-განათლების საქმეში. საქართველოს კათოლიკეთათვის, დარსების დღიდან მოყოლებული დღემდე, ამ მისიას კარგად უძღვება საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე „საბა“, რომელიც წლების განმავლობაში ნელ-ნელა იხვეწება და ლამაზდება, რათა მკითხველისათვის უფრო მიმზიდველი

და სასიამოვნო წასაკითხი იყოს. მთელ სარედაქციო კოლეგიას, ვინც დიდი როლი შეასრულა მის დაარსებაში, ვინც წლების განმავლობაში დაუღალავად ზრუნავდა მის სხვადასხვა გამოცემაზე და დღესაც ასრულებს ამ მისიას, მსურს, გადავუხადო გულითადი მადლობა და მომავლის გასავლელ გზაზე უურნულ გამძლეობა, მოთმინება, სული წმიდის მადლი, რომ არ დაიღალონ ამ ლამაზი და, ამავდროულად, საპასუხისმგებლო საქმიანობით. დაგლოცოთ ღმერთმა.

**მამა პაათა ქომოშვილი, ცხ. პეტრე და ცხ. აკავლე მოციქულთა კათოლიკური საკრებულოსა და სრულიად კახეთის კათოლიკური საკრებულოების (სანავარდო, მთისძირი, ხიზაჲავრა და ციხა) მღვდელმსახური**

უურნალ „საბას“ უკვე თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნე შეუსრულდა. ეს არცთუ ისე მცირე დროა განახლებული და აღორძინების გზაზე მყოფი კათოლიკე ეკლესიისათვის საქართველოში. ამ უურნალის როლი განსაკუთრებით დიდი იყო 90-იან წლებში, ვინაიდან იმ დროს ის ერთადერთი თუ არა, ერთერთი საინფორმაციო წყარო იყო კათოლიკე, და არა მხოლოდ



კათოლიკე, მკითხველისათვის. ამიტომ, ჩემთვის დიდი პატივია, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოცი-ქულთა კათოლიკური საკრე-ბულოსა და სრულიად კახეთის კათოლიკური საკრებულობის სახელით, დიდი მადლობა გადა-ვუხადო უურნალ „საბას“ სარე-დაქციო კოლეგიას, რომლის წევრებიც დღემდე დაულალავად შრომობენ და დგანან ხალხის სამსახურში! უღრმეს მადლო-ბას მოგახსენებთ, ძვირფასნო, და გისურვებთ მოუღლელო-ბას საქმეში და ჭეშმარიტებას სამსახურში; დაე, დაგლოცოთ უფალმა!

## მურმან პაპაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



ნებისმიერი შემოქმედები-თი წამოწყებისათვის 25 წელი ცხოვრების სოლიდური ვადა. ამ წლებში უურნალი „საბა“ იქცა ავტორიტეტულ პერიოდ-ულ გამოცემად, რომლის ფურ-ცლებზე განიხილება აქტუალ-ური რელიგიური, ისტორიული, კულტურული, ფილოსოფიური პრობლემები. ამ წლების მან-ძილზე თითქმის რეგულარულად ვადევნებ თვალს უურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს და გულწრფელად მინდა ვთქვა, რომ ისინი ამ საკმაოდ სპეციფი-კურ სფეროში აქტუალობითა და

მაღალი ხარისხით გამოირჩევ-იან. ამიტომ ეს უურნალი ჩემი მეგობარია. იგი თავისი მრავალ-ფეროვნებითა და საინტერესო მასალებით ბევრი ავტორიტეტული უურნალის გვერდით დგას. თქვენი უურნალი მაღალი პრო-ფესიული დონისაა და მისი რედ-კოლეგია დიდ და სასარგებლო შრომას ეწევა. ვუსურვებ უურ-ნალის რედკოლეგიას, მის გუნდს ახალ საინტერესო პუბლიკა-ციებს, შემოქმედებით წარმატე-ბებს, სიმხნევეს და საგამომცემ-ლო დღეგრძელობას.

## გორა გარნოვი, სულსან-საბა მრებლივიანის უნივერსიტეტის თაოლოგიის ფაკულტეტის დეკანი

გილოცავთ, ჩემო საყვარელო კათოლიკე ძმებო, უურნალ „სა-ბას“ დაარსებიდან 25 და გა-ნახლებიდან 15 წლისთავს. ეს თქვენი უურნალის მე-300 ნომე-რია. ვხედავ, ამ დროის მანძილ-ზე რამდენი სიკეთის გაკეთება შეძელით. განსაკუთრებით მინ-და მივულოცო მეუფე ჯუზებესა და მამა გაბრიელეს, რომელნიც ძალ-ლონებს არ იშურებენ მკითხ-ველამდე ქრისტეს სწავლებისა და სიტყვის მისატანად. შეუ-ფასებელია მათი საქმიანობა. გისურვებთ უკეთეს მომავალსა და წარმატებებს.



თამა კოპალეიშვილი, ჟარუ-მის შოთა რუსთაველის სახ-ელობის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტისა და პეტრე მაცნე სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებების და სამსახურში „სოლა ფორუმის“ მობილური მუნიციპალიტეტი



საქართველოში კათოლიკე ეკლესის მემატიანეს – უურ-ნალ „საბას“ ვულოცავ საიუბ-ილე მე-300 ნომრის გამოსვ-ლას, ვუსურვებ წარმატებებს და ბევრ მკითხველს. რომ არა „საბა“, დამოუკიდებელ საქა-რთველოში კათოლიკე ეკლე-სის ისტორიაზე ცოტა რამ გვეცოდინებოდა. მადლობა მის ავტორებს, სარედაქციო კოლე-გიას, ასე გულმოდგინედ რომ ზრუნავენ საქართველოში კათო-ლიკე ეკლესის საქმიანობის, მისი ისტორიის, წარსულისა და დღევანდელობის კვლევისა და პოპულარიზაციისათვის.

## დედა ანა-გარია პრივალარი; ლალი ჩარავიანი – „INER Georgia - მყვილისა და სიცოცხლის სამსახურში“, (ქუთაისი)

25 წელი გასულა! თითქმის საუკუნის მეოთხედია, რაც ყოვ-ელთვიური მაცნე „საბა“ უანგა-





როდ და დაუღალავად აგრძელებს დაწყებულ გზას. „საბა“ ჩვენი ეკლესის დიდი მონაპოვარია, მან ჩვენი ეკლესის ეპოქა შექმნა. ეს იყო სიახლე, რომელიც სულიერ მოთხოვნილებაში გადაიზარდა და დღეს იგი ჩვენი სულიერების გზამკვლევია,



ჩვენი ლხინისა და სადარდებლის მკითხველამდე მიმტანია, ყოველ ჩვენგანს აძლევს ნაფიქრალის, მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობისა და ხმის მიწვდენის საშუალებას. წლების მიუხედავად, არ გახუნდა, ინტერესი არ დაკარგა, თანამედროვეობას ფეხი აუწყო და გაუმჯობესებისკენ სწრაფვაში განვითარდა.

თემატიკის მრავალფეროვნება და მაღალპროფესიონალიზმი მისი მთავარი ხიბლიც არის და ლირსებაც. „INER Georgia - წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში“ დაარსების დღიდან მეობობობს უურნალ „საბასთან“, ხშირად გაგვინდია მისი ფურცლებისთვის სათქმელ-ნაფიქრალი საინტერესო სტატიებით საგანმანათლებლო-აღმზრდელობით თემებზე, მორწმუნეთა ფორმაციაზე, ოჯახების რეალობაზე, ბიოეთიკაზე, ჩვენს მიმდინარე საქმიანობაზე... და, თვიდან თვემდე, ამ გზით მივდივართ „საბას“ მადლიერ მკითხველამდე. იგი ღირსეული დესპანია ყველა რჯახში.

მადლობა „საბას“ რედაქტორს და რედკოლეგიას, ასე რუდუნებით რომ ზრუნავენ თავიანთ მკითხველზე. ცდილობენ, ნომრიდან ნომრამდე დახვეწონ სტილი და განსხვავებული ხელწერით წარდგნენ. მადლობა საჭირო გვერდებისა და საინტერესო სტატიებისათვის. დაბადების დღეს გილოცავთ, „საბა“, და გისურვებთ მადლიერი მკითხველის გამრავლებას!

**ირაკლი კაკაბაძე, მცენარე, მთარგმნელი, სტამბოლის ლიტერატურული კავე-შუზე-უმ „გალაკტიონის“ დამფუძნებლი, (თურქეთი)**

მამა გაბრიელე ბრაგანტინის, „საბას“ სარედაქციო კოლეგიას და ყველა კათოლიკუს გულითადად ვულოცავ ამ გამორჩეული უურნალის საიუბილეო მე-300 წლების გამოცემას და ტოლერანტობის ქომაგის ტიტულით დაჯილდობებას. როგორც სტამბოლის ქართველთა კათოლიკური საკანკ, ასევე, უურნალი „საბაც“ სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთათვის ერთიანობის სულის მატარებელი და ჭეშმარიტად ტოლერანტობის სიმბოლოა. რომ, როგორც

ყოველთვის, მომავალი წლის თებერვლის თვეში კვლავ ვიხილავთ სტამბოლის კათოლიკურ სავანეში ქართველ მომლოცველებს, თქვენი სტუმრობა ჩვენ სულიერად გვაძლიერებს.



P.S. უურნალის საიუბილეო ნომრის მზადება უკვე დაწყებული იყო, როდესაც სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ, საქართველოს სახალხო დამცველისა და რელიგიათა საბჭოს გადაწყვეტილებით, უურნალ „საბას“ 2020 წლის ტოლერანტობის საპატიო ქომაგის წოდება მიენიჭა.

ეს ჯილდო „საბამ“ ბოლო წლებში გამოქვეყნებული მრავალფეროვანი თემატიკის, ტოლერანტული სულისკვეთებისა და ინტერრელიგიური ხასიათის პუბლიკაციების გამო დაიმსახურა. ჩვენი უურნალის გვერდებიდან შუქდებოდა არა მხოლოდ ლათინური წესის მრავალეთნოკური კათოლიკე მრევლის ცხოვრება, არამედ სისტემატურად ვაქვეყნებდით მასალებს ქრისტიანთა ერთობის, ეკლესიათაშორისი დიალოგისა და სხვადასხვა აღმსარებლობის მორწმუნეთა ურთიერთობების შესახებ, რითაც ვცდილობდით, ხელი შეგვეწყო ჩვენი ქვეყნის რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების სრულყოფილად

და მიუკერძოებლად წარმოჩენასა და ადამიანებს შორის ნდობისა და ურთიერთპატივისცემის დამკეთლებას. უურნალი „საბა“ ერთგულია, ერთი მხრივ, ეკლესიის კათოლიკობის პრინციპისა და კათოლიკე ეკლესიის თანამშრომლობისა და გახსნილობისა სხვა ეკლესიებთან მიმართებაში, რაც ვატიკანის მეორე კრების კონსტიტუციაში (Unitatis redintegratio) აისახა და რომლის მთავრი ამოცანაა ყველა ქრისტიანს შორის ერთობის აღდგენა, ხოლო, მეორე მხრივ კი, ევროკავშირის დევიზისა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“.

ტოლერანტობის დღე 1995 წლიდან UNESCO-ს ინიციატივით აღინიშნება და მისი მიზანი არატოლერანტობისა და დისკრიმინაციის საზოგადოების ცნობიერების

ამაღლებაა. წლებია, ეს დღე საქართველოში ფართოდ აღინიშნება. საქართველოს სახალხო დამცველმა და სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ, რომელშიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების სულიერი ლიდერები არიან გაერთიანებული, რამდენიმე წლის წინ დააწესა ტოლერანტობის ქომაგის წოდება და მას საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის ანიჭებენ ცალკეულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს. გასულ წელს ეს ჯილდო სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს გადაეცა, წელს კი ეს ტიტული უურნალმა „საბამ“ დაიმსახურა.

ტოლერანტობის ქომაგის წოდებით დაჯილდოება, რო-

გორც წესი, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს, 16 ნოემბერს, საზეიმო ვითარებაში ხორციელდება, მაგრამ წლევანდელი პანდემიის ვითარებაში დაჯილდოება მოკრძალებულად, სოციალური დისტანციის დაცვით, ღია სივრცეში, სახალხო დამცველის ეზოში გაიმართა, სადაც სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭოს წარმომადგენლებმა ოფიციალურად გადმოგვცეს 2020 წლის ტოლერანტობის ქომაგის დამადასტურებელი საპატიო სიგელი. ეს ჯილდო არის ბოლო წლების მანძილზე „საბას“ მთელი სარედაქციო კოლეგის შრომის აღიარება და ტოლერანტობის ქომაგის ტიტული უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვანიჭებს „საბას“ მთელ შემოქმედებით ჯგუფს.



საქართველოს სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

## სიგელი

საქართველოს სახალხო დამცველი  
და სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო  
საქართველოში ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში  
შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის

**უურნალი „საბა“**

ანიჭებს

**ტოლერანტობის ქომაგის წოდებას**

2020 წლის 16 ნოემბერი - ტოლერანტობის საერთაშორისო დღე



## ახალი გამოცემა

**პაპ ფრანცისკეს ცნობილი ენციკლიკა Laudato Si ქართულ ენაზე**

რომის პაპების ენციკლიკები, როგორც წესი, კათოლიკე ეკლესიის დიდ მოღლენას წარმოადგენს და მსოფლიო მოსახლეობის ყურადღების ცენტრში ექცევა ხომე, თუმცა არის გამორჩეული ენციკლიკებიც, რომელთა გამოსვლა ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანების დიდ გამოხმაურებას ინვევს, მიუხედავად მათი პოლიტიკური თუ კონფესიური მრწამსისა. სწორედ ამგვარ ენციკლიკებს მიეკუთვნება პაპ ფრანცისკეს მეორე ენციკლიკა Laudato Si („დიდება შენდა“), რომელიც 2015 წლის 18 ივნისს გამოქვეწდა და საყოველთაო პრობლემას, ეკოლოგიასა და გარემოს დაცვას მიეძღვნა.

ენციკლიკის სახელმოდება წარმოდგება წმ. ფრანცისკე ასიზელის მოწოდებიდან „Laudato si, mi' Signore“, სადაც წმინდანი შეგვახსენებს, რომ „დედამიწა ჩვენი საერთო სახლია“. ენციკლიკაში, წმ. ფრანცისკე ასიზელთან ერთად, რომლის პატივსაცემადაც აირჩია პაპმა თავისი სახელი, ნახსენები არიან წმ. ბენედიქტე ნურსიელი (სწორედ ეპრობის მფარველი) ამ წმინდანის პატივსაცემად აირჩია თავისი სახელი ბენედიქტე XVI-მ), წმ. ტერეზა ლიზიელი და ნეტარი შარლ დე ფუკო.

პაპის ეს ენციკლიკა თავის დროზე დადგითად შეაფასა გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუწმა; მსოფლიო ეკუმენურმა პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა, რომელმაც განაცხადა: „კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა ინდივიდუალურად შეუძლებელია. ეს პრობლემა მოითხოვს მთელი კაცობრიობის, განსაუთრებით ჩვენი პლანეტის მდიდარ რეგიონებში მაცხოვერებელთა ყურადღებას და მოქმედებას. ჩვენს ძვირფას ძმასთან, პაპ ფრანცისკესთან საუბრისას შევთანხმდით, თუ რამდენად მიიშვნელოვანია, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები ერთად მუშაობენ ამ თემაზე“. ფრანცისკელთა ორდენის გენერალმა მაიკლ პერიმ ყველას მოუწოდა, რომ არა მხოლოდ წაიკითხონ ახალი ენციკლიკა, არამედ ყურადღებით შეისწავლონ იგი, რადგან ამ დოკუმენტში საუბარია

პლანეტის მომავალზე, თუ როგორ შეგვიძლია შეცვალოთ არსებული ვითარება ქრისტიანული სწავლების ფონზე. ამ ენციკლიკის გამოცემას მიესალმა ეკლესიების მსოფლიო საბჭო და ცალკეული პროტესტანტული ეკლესიები. ხოლო უურნალისტმა ჯონ ალენმა, რომელიც სპეციალიზებულია თანამედროვე კათოლიკური ეკლესიის ანალიზზე, გამოთქვა მოსაზრება, რომ ენციკლიკა განკუთვნილია ისტორიაში დასამკიდრებლად, როგორც გარდამტები მომენტი, როდესაც გარემოს დაცვა, ადამიანის სიცოცხლის, ლირსების დაცვასთან და ეკონომიკურ სამართლიანობასთან ერთად, გახდება კათოლიკური ეკლესიის სოციალური სწავლების ქაუთხედი.

რაოდენ სასიხარულოა, რომ დღეს ქართულენოვან საზოგადოებას აქვს საშუალება, მშობლიურ ენაზე გაეცნოს პაპ ფრანცისკეს ამ ცნობილ ენციკლიკას. მიმდინარე წელს, ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარის, ირაკლი ჯავახიშვილის მონძომებით, ქართულად ითარგმნა და კათოლიკური ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრაციის დაფინანსებით წიგნად გამოიცა Laudato Si. დაინტერესებულ მეითხველს ენციკლიკის შეძენა შეეძლება შესაბამის სამრევლოებში, ასევე, ხელმისაწვდომია ენციკლიკის ელექტრონული ვერსიაც. ვფიქრობ, კარგი იქნება, ქართულ ენაზეც მომზადდეს Laudato Si-სთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაცია და მსოფლიოს ძირითადი ენების გვერდით აიტვირთოს ვიკიპედიაში.

20 ოქტომბერს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში შედგა ირაკლი ჯავახიშვილის მიერ ნათარგმნი პაპის ენციკლიკის Laudato Si („დიდება შენდა“) წარდგენა-განხილვა (ინფორმაციისათვის აღნიშნავ, რომ ეს ენციკლიკა ირაკლი ჯავახიშვილის მიერ ქართულად ნათარგმნი მე-11 საეკლესიო დოკუმენტია). მართალია, კოვიდ-პანდემიის პირობებში ყოველი ღონისძიება მინიმალური მასშტაბით და დამსწრეთა მცირერიცხოვნებით გამოირჩევა, მაგრამ „დიდება შენდას“ პრეზენტაციას, სოციალური დისტანციის დაცვით, ესწრებოდნენ საქართველოში ლათინური წე-

პაპი ფრანცისკე

ლიტერატურა  
Laudato Si'

ჩვენს საერთო სახლზე ზრუნვის შესახებ



სის კათოლიკე ეკლესიის ეპიკოპოსი ჯუზზეპე პაზოტო, სასულიერო პირები, ვატიკანის საელჩის წარმოადგენელი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორები. შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ვაჟა ვარდიძემ, სამოციქულო ადმინისტრატორმა, მეუფე ჯუზზეპე პაზოტომ ყურადღება გაამახვილა ამ დოკუმენტის არსა და ქართულ ენაზე გამოცემის მნიშვნელობაზე.

თავის გამოსვლაში ენციკლიკის მთარგმნელმა, ირაკლი ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ „დოკუმენტში პაპი ფრანცისკე საუბრობს გარემოს კრიზისა და კაცობრიობის თავაშვებულ მომხმარებლობაზე. წმინდა მამის მტკიცებით, ჩვენს საერთო სახლზე (რომელიც ღმერთის ქმნილება) ზრუნვისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა პიროვნების ღირსება, საერთო სიკეთე, სოლიდარობა და სუბსიდიარობა; მივიჩნევ, რომ ქართველი მკონტაქტობრივი სოციალური ანალიზი რელიგიური პერსპექტივით განვითარება მნიშვნელოვანია, ვინაიდან მასში მოცემულია ჩვენი პლანეტის კრიზისის სისტემატური ანალიზი რელიგიური პერსპექტივით“. ენციკლიკის გამოცემას საგანგებო წერილით მიესალმა მისი აღმატებულება წმინდა საყდრის დესპანი საქართველოში არქიეპისკოპოსი უოზე აველინო ბეტენკური.

სპეციალური კორესპონდენტი



## „წმიდანი...“

### ნე. ილარიონ ქართველი - მოხსენიების დღე - 2 დეკემბერი

ლილისი ილარიონ ქართველი (822-875) დაიბადა კახეთში, აზნაურის ოჯახში. იგი განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა. თოთხმეტ წლამდე იქვე, სოფელში, მამის მიერ აშენებულ მონასტერში იყო, შემდეგ კი გარეჯის უდაბნოს მიაშურა, ჰპოვა პატარა გამოქვაბული და იქ დაეყუდა. მას დიდი ღვანლი მიუძღვის საქართველოში სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის განვითარებაში. ილარიონ ქართველმა ცხოვრების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. მოიარა პალესტინა, ბითინია (ოლიმპი), რომი, ბიზანტია, სადაც ეცნობოდა ქრისტიანული სამყაროს კულტურის უდიდეს კერძებს, ლიტერატურულ მიღწევებს, სამონასტრო ცხოვრების წესა და რიგს. ილარიონ ქართველის შესახებ შექმნილია ჰაგიოგრაფიული თხზულება „ილარიონ ქართველის ცხოვრება“. თხზულებაში ილარიონ ქართველი წარმოგვიდგება როგორც მონასტერთა მაშენებელი, წინამძღვარი, კახეთში დედათა და მამათა მონასტრების წესისა და კანონის დამდები. დაკრძალულია კონსტანტინოპოლის მახლობლად, ჰრომანის (რომანის) ქართველთა მონასტერში.

### ნე. აბიბოს ნეკრესელი - მოხსენიების დღე - 12 დეკემბერი

წმიდა აბიბოს ნეკრესელი იყო საეკლესიო მოღვაწე, ერთი ასურელ მამათაგანი. იგი საქართველოში მოვიდა სირიიდან VI საუკუნის მეორე ნახევარში. თავდაპირველად ზედაზნის მონასტერში მოღვაწეობდა დიაკონად, შემდეგ ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა. ის ეწეოდა ფართო მისიონერულ მოღვაწეობას: გაქრისტიანა არაგვისპირის მთიელი კახელები, ებრძოდა ირანის ოფიციალური რელიგიის - ზორაასტრიზმის გავლენას, მოსპონ ნეკრესის ტაძრის მახლობლად სპარსთა საგზებელი (წყლით ჩაქრო რიტუალური ცეცხლი), რისთვისაც შეიძყრეს და მარზაპანის ბრძანებით სოფელ რეხში ქვით ჩაქოლეს, ხოლო გვამი მხეცებს მიუგდეს. დასაფლავებულია სამთავროში (მცხეთა).

### ნე. მეფე ვახტანგ გორგასალი - მოხსენიების დღე - 13 დეკემბერი


ქართლის მეფემ ვახტანგ I გორგასალმა (442-502) ზედნოდება მიიღო მუზარადზე გამოსახული მგლის გამო: სპარსულად „გორგასალ“ მგლისთავას ნიშნავს. მან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა, ადმინისტრაციულად მოაწესრიგა და, შეიძლება ითქვას, პირველმა ქართველ მეფეთა შორის, მთელი კავკასია თავის პოლიტიკურ თვალსაწიერში მოაქცია. მისი ინიციატივით ქვეყნის ცენტრი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანეს. ქვეყნის გაერთიანების საქმეს ემსახურებოდა ვახტანგ I-ის ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობაც. მან ქართული ეკლესიაც ამ მიზნებს დაუქვემდებარა. იმდროინდელი ისტორიული აუცილებლობის შედეგად, საგარეო და შიდა სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა და ვახტანგ I-ის პროგრესული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელება შეუძლებელი შეიქნა. სიმბოლურია მისი სიკვდილი: იგი შიდა ოპოზიციისა და გარეპოლიტიკური ძალის ერთობლივი კავშირის მსხვერპლი აღმოჩნდა. ვახტანგ I დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.



# საქართველოში “

**წმ. პეტრე I, კათალიკოსი - მოხსენიების დღე - 13 დეკემბერი**

წმიდა პეტრე, ქართლის პირველი კათალიკოსი, 467-474 წლებში განაგებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. მან სათავე დაუდო საქართველოში კათალიკოსთა დინასტიას. წმიდა პეტრე კათალიკოსმა ავტოკეფალური ეკლესიის პრინციპით მოაწყო ეკლესიის მართვა-გამგეობა და ჩამოაყალიბა თვითმმართველობის ის ფორმა, რომელმაც შემდგომში კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიებს შორის.




**წმ. სამოელ I, კათალიკოსი - მოხსენიების დღე - 13 დეკემბერი**

წმიდა სამოელი საქართველოს ეკლესიის საჭეთმცყრობლის ტახტზე აღსაყდრდა წმიდა პეტრე კათალიკოსის შემდეგ, VI ს-ის დასაწყისში. იგი, ისევე, როგორც წმიდა პეტრე კათალიკოსი, ბიზანტიელი იყო და მსახურებდა გრიგოლ ნაზიანზელის ეკლესიაში. ვახტანგ გორგასალის მიერ საბერძნეთის საზღვრის ნაზიანზის აღებისას პეტრესთან ერთად ტყვედ წამოიყვანეს ქართლში. იგი დაინიშნა ჯერ მცხეთის ეპისკოპოსად, შემდეგ კი ქართლის კათალიკოსად. სამოელ კათალიკოსი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას განაგებდა მეფე დაჩისა და მისი მემკვიდრის ბაკურის დროს. მის დროს აშენდა წყაროსთავის ეკლესია ჯავახეთში.




**წმ. ისე წილკანელი - მოხსენიების დღე - 15 დეკემბერი**

წმიდა ისე წილკანელი იოანე ზედაზნელის მოწაფე იყო. იგი მოვიდა ანტიოქიიდან VI საუკუნის შუა წლებში, ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში. ევლავიოს კათალიკოსისა და იოანე ზედაზნელის კურთხევით, ლირი ისე წილკანში მოღვაწეობდა. მან გააქრისტიანა საქართველოს ჩრდილოეთი მთიანეთის მოსახლეობა, სადაც დაანგრია წარმართულ კერპთა ტაძრები და ააშენა ეკლესიები. დასაფლავებულია წილკნის ეკლესიაში.



**წმ. იოანე ზედაზნელი - მოხსენიების დღე - 25 დეკემბერი**

წმიდა იოანე მოღვაწეობდა ზედაზნის მონასტერში, რომელიც დაარსა ლირსმა იოანე ზედაზნელმა, VI საუკუნის შუა წლებში მოღვაწე ერთ-ერთმა ათცამეტ ასურელ მამათაგანმა, ანტიოქიიდან ჩამოსულმა ბერმა, რომელიც ლვთისმშობლის გამოცხადებით მოვიდა ქართლში სარწმუნოების განსამტკიცებლად და ქვეყანაში ბერმონაზვნური ცხოვრების ასაღორძინებლად. თანდათან ზედაზენი საქართველოს სულიერებისა და კულტურის ჩაუქრობელ ლამპრად იქცა. ზედაზნელი მამები ზრუნავდნენ მონასტრის კეთილდღეობაზე, ეწეოდნენ აღმშენებლობით საქმიანობას. სიწმიდითა და ძმათამოყვარეობით გამორჩეული წმიდა იოანე ზედაზნის მონასტრის წინამდღვრად იქნა დადგენილი. სულიერების ეს ერთ-ერთი უდიდესი კერა IX საუკუნეში არაბთა შემოსევების შემდეგ სარკინოზთა რბევის საგნად იქცა. ერთ-ერთი შემოსევის დროს არაბებმა შეიძყრეს და წამებით მოკლეს მონასტრის წინამდღვარი იოანე.



მოამზადა ვერიკო ნოზაძე

# პაპ ფრანცის პეტერ ენციკლიკა

## Fratelli tutti

3 ოქტომბერს, ასიზიში თავისი ხანმოკლე ვიზიტისას, პაპმა ფრანცის კემ ხელი მოაწერა ახალ ენციკლიკას *Fratelli tutti* („ძმანო ყოველნო“), რომელშიც იგი მიუთითებს ძმობასა და სოციალურ თანადგომაზე, როგორც უკეთესი, უფრო სამართლიანი და მშვიდობიანი სამყაროს შექმნის გზაზე.

უწმიდესი მამა დოკუმენტს უწოდებს „სოციალურ ენციკლიკას“, და განმარტავს, რომ მისი სახელწოდება ისესხა წმიდა ფრანცის კემ „შეგონებიდან“: ამ სიტყვებით ასიზელი მოღვაწე მიმართავდა ყოველ ძმასა და დას, მათ სთავაზობდა სახარებაზე დაფუძნებულ ცხოვრების წესს. პაპი აღნიშნავს, რომ სწორედ ენციკლიკის წერის დროს დაიწყო კორონავირუსის პანდემია, და ამ საგანგებო გლობალურმა მდგომარეობამ გვიჩვენა, რომ არავინ გადარჩება მარტო, და რომ დადგა დრო ოცნებისა „ერთიან კაცობრიობაზე“, სადაც ყველა ერთმანეთის ძმა იქნება.

**რვა თავიდან პირველში** – „კარჩაკეტილი სამყაროს აჩრდილი“ – პაპი ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე ეპოქის მრავალ სიმახინჯესა და ცდომილებაზე, ისეთზე, როგორიცაა დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობის მცნებებით მანიპულირება და მათი დეფორმაცია; ეგოიზმი და საერთო სიკეთისადმი გულგრილობა; მოგებასა და ნარჩენების კულტურაზე დაფუძნებული საბაზო ლოგიკის სიჭარბე; უმუშევრობა, რასიზმი, სიღატაკე; უთანასწორობა და მონობა, ადამიანებით ვაჭრობა, ქალთა მიმართ დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება და აბორტის იძულება; ორგანოებით ვაჭრობა. საუბარია გლობალურ პრობლემებზე, რომლებიც ერთობლივ მოქმედებას მოითხოვს, ხაზგასმით აღნიშნავს უწმიდესი მამა.

ამ ჩრდილოვანი ასპექტების პასუხად ენციკლიკა გვთავაზობს ბრწყინვალე მაგალითს კეთილი სამარიელისა, რომელსაც მიეძღვნა **მეორე თავი:** „**უცხო გზაზე**“. ჩვენ, ყველა, მოხმობილი ვართ, გავხდეთ ახლობლები სხვათათვის, აღნიშნავს პაპი, და შეაგონებს ქრისტიანებს, რომ ყოველ გარიყულ ადამიანში იესოს სახე ამოიცნონ.

**მესამე თავში** - „**განსჯა და გამოწვევა ღია სამყაროში**“ - საუბარია უნივერსალური სიყვარულის შესახებ. პაპი მოგვიწოდებს, „თავი დავალწიოთ საკუთარ თავში ჩაკეტილობას“ და მოყვასის მიმართ გავიხსნათ, ვისწრაფოთ „უნივერსალური ურთ-

იერთობისაკენ“. იგი აღნიშნავს, რომ სოლიდარობისა და ძმობის გრძნობა იბადება ოჯახში, ამიტომ საჭიროა ოჯახის დაცვა, მისი უმნიშვნელოვანესი და შეუცვლელი აღმზრდელობითი ფუნქციის პატივისცემა. ამ ნაწილში ნახსენებია ეთიკის შესახებაც საერთაშორისო ურთიერთობებში: ყოველი ქვეყანა, კუთხით ულობთ ტექსტში, ეკუთვნის ასევე უცხოელსაც და გარკვეული ტერიტორიით სარგებლობაზე უარი არ უნდა ვუთხრათ გაჭირვებულებს, რომლებიც წარმოშობით სხვა მხრიდან არიან. ამგვარად, კერძო საკუთრებაზე ბუნებრივი უფლება მეორე პლანზე გადალის, შექმნილი სიკეთის უნივერსალურ დანიშნულებასთან შედარებით.

**მეორე თავი** - „**გული, გახსნილი მთელი სამყაროსადმი**“ — მიეძღვნა მიგრაციის თემას. საჭიროა რეაგირება მათ გასაჭირზე, ვინც გაურბის სერიოზულ ჰუმანიტარულ სიტუაციას: გავამარტივოთ ვიზების მიღება, გავხსნათ ჰუმანიტარული დერეფენციები, უზრუნველყოთ გაჭირვებულნი საცხოვრებლით, უსაფრთხო ცხოვრების პირობებითა და ძირითადი მომსახურებებით; მივცეთ მუშაობისა და განათლების მიღების შესაძლებლობა; ხელი შევუწყოთ ოჯახების გაერთიანებას, დავიცვათ მცირენლოვანნი, მივცეთ რელიგიური თავისუფლების გარანტია.

**მეხუთე თავის თემა** - „**უკეთესი პოლიტიკა**“, ე.ი. პოლიტიკა, რომელიც სიყვარულის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული ნაირსახეობა ხდება, როდესაც ის საერთო კეთილდღეობას ემსახურება. ჩვენ გვჭირდება პოლიტიკა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ღირსებაზე და არ ექვემდებარება ფინანსების ლოგიკას. ასეთ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახალხო მოძრაობები. პაპი, ასევე, წერს გაეროს რეფორმების აუცილებლობაზე სიღატაკეის აღმოსაფხვრელად და ადამიანის უფლებების დასაცავად: ენციკლიკაში ნათქვამია, რომ გაერომ კანონს უნდა მიანიჭოს ძალა და არა ძალა აქციოს კანონად.

**მეექვესე თავში** - „**დიალოგი და სოციალური თანადგომა**“ — საუბარია ცხოვრების კანცელიციაზე, როგორც ყველასთან დიალოგის ხელოვნებაზე, გამონაკლისის გარეშე, რამდენადაც თითოეულისაგან შეიძლება რაღაც ვისწავლოთ, არ არსებობენ უსარგებლო ადამიანები. განსაკუთრებით ხაზგასმულია ისეთი თვისებები, როგორიცაა კეთილმო-



სურნეობა, საპირზონედ სისასტიკისა, შიშისა და სიჩქარისა, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი თანამედროვეობისათვის.

**გეშვიდე თავი - „ახალი შეხვედრის გზები“** - ეძღვნება მშვიდობის მნიშვნელობასა და ხელშეწყობას. მასში დადასტურებულია, რომ მშვიდობას მიყვავართ ისეთი საზოგადოების შექმნამდე, რომელიც ემყარება ურთიერთმსახურებას. მშვიდობისა და მიტევების ცნება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. უნდა გვიყვარდეს ყველა, გამონაკლისის გარეშე, ხაზგასმითაა აღნიშნული ენციკლიკაში. ამასთან, მჩაგვრელის სიყვარული ნიშნავს, დავეხმაროთ მას, რათა შეიცვალოს და არ მივცეთ ნება მოყვასის დაჩაგვრისა. მიტევება არ ნიშნავს დაუსველობას, ის გულისხმობს სამართლიანობასა და ხსოვნას. მიტევება არ ნიშნავს დავინიყებას: ეს ნიშნავს ბოროტებისა და სამაგიეროს გადახდის დესტრუქციულ ძალაზე უარის თქმას. არასდროს არ უნდა დავივიწყოთ ჰოლოკოსტის საშინელება, ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა, დევნა და ეთნიკური წმენდა: ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ეს, რათა შევინარჩუნოთ კოლექტიური სინდისის ცოცხალი მეხსიერება. ასევე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ყოველი სიკეთე, დასძენს პაპი ფრანცისკე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ომის საკითხს, რომელიც პოლიტიკისა და კაცობრიობისათვის წამგებიანია, სამარცხვინო დათმობაა ბოროტი ძალების წინაშე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამჟამად, წარსულისაგან განსხვავებით, არ შეიძლება საუბარი „სამართლიან ომზე“: მთელი ძალისხმევით უნდა დამტკიცდეს: „უარი ომს“.

ენციკლიკაში დამოწმებულია სიკვდილით დასვეს დაუშვებლობა: ის უნდა გაუქმდეს მთელ მსოფლიოში. „მკვლელი არ კარგავს პირად ღირსებას, - წერს პაპი, - და ღმერთი გვეცხადება ამის თავმდებად.“ უნმიდესი მამა ხაზს უსვამს სიცოცხლის წმიდა ბუნების დაცვის აუცილებლობას ყველა სიტუაციაში, სადაც ცდილობენ მის განირვას: ახალშობილთა, ინვალიდთა, მოხუცთა სიცოცხლის.

**უკანასკნელ მერვე თავში - „რელიგიები ძმობის მსახურებაში მთელ მსოფლიოში“** - პაპი კვლავ ადასტურებს, რომ რელიგია არ წარმოშობს ტერორიზმს, მაგრამ მისი მიზეზები რელიგიურ ტექსტთა არასწორ ინტერპრეტაციაში, ასევე, შიმშილის, სიღატაკის, უსამართლობისა და ჩაგვრის პოლიტიკაში მდგომარეობს. რელიგიათა შორის მშვიდობა შესაძლებელია, და ამისთვის საჭიროა ყველას მივცეთ რელიგიური თავისუფლების პირობა, ადამიანის ფუძემდებლური უფლება. ენციკლიკაში ხაზგასმულია ეკლესიის როლი ამ თავისუფლების დაცვაში: თუმცა ეკლესია დაკავებული არაა პოლიტიკით, ის არ უარყოფს ადამიანის ყოფიერების

პოლიტიკურ განზომილებას.

დაბოლოს, პაპს მოჰყავს „დოკუმენტი ადამიანთა ძმობის შესახებ მსოფლიო მშვიდობისა და კეთილმეზობლობისათვის“, ხელმოწერილი მის მიერ 2019 წლის 4 თებერვალს, აბუ-დაბიში, უმალლეს იმამ ალ-აზჰარ აპარად ალ-თაბთან ერთად. პაპი ანახლებს მოწოდებას, რათა დიალოგი გახდეს გზა საყოველთაო თანამშრომლობისა, ხოლო ურთიერთგაცნობის გაღრმავება - მისი მეთოდი და კრიტერიუმი.

### თარგმანი ვიზუალური ნოზამე

<https://www.vaticannews.va/ru/pope/news/2020-10/papa-podpisal-encikliku-fratelli-tutti.html>

PAPA  
FRANCISCO

FRATELLI TUTTI

Carta Encíclica  
SOBRE A FRATERNIDADE E A AMIZADE SOCIAL



# კათოლიკე ეკლესია საქართველოში

## (საბჭოთა პერიოდი 1921-1991)

### დასკვნის მაგივრად

ცხადია, 1991 წელი საეტაპო წლად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესიისათვის. ამ წლის გაზაფხულზე, თბილისში „ნეოკატექუმენური“ საკრებულო დაფუძნდა. აგვისტოში კი, პოლონეთში პაპის ვიზიტაზ დაკავშირდით, პირველი მომლოცველობა განხორციელდა და ვარშავის სტადიონზე გამართული მსახურების დროს ორმა ახალგაზრდამ მიიღო პაპის კურთხევა, შედგომოდნენ მლევდელმასახურის პასუხსაგებ გზას. პატრი იან სნეჟინსკის მონდომებით, პატრი ადამ ოხალი გამოთქვამს სურვილს საქართველოში მისით ჩამოსვლაზე. უკვე ორი ათეული წელი მამა ადამი წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარია. აღსანიშნავია, რომ 1992 წელს წმიდა საყდარმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო და მოავლინა დესპანი, არქიეპისკოპოსი უან პოლ გობელი.

მიუხედავად სიმცირისა, კათოლიკე მრევლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს კულტურასა და ისტორიაში. საუკუნეების მანძილზე, კათოლიკე მისიონერებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ ფასდაუდებელი ისტორიული და ეთნოლოგიური მასალა შემოგვინახეს. ისინი ექიმები და მხატვრები იყვნენ, თავისი განათლებითა და სულიერებით იზიდავდნენ მეფე-მთავრებსა თუ სასულიერო იერარქებს. მათ ყველაზე მეტად ენდობოდნენ საქართველოს მეფეები, ანდობდნენ მნიშვნელოვან დიპლომატიურ მიმოწერას; როდესაც ჩვენს ქვეყანასა და ეკროპას შორის ერთიანობის აღდგენა და დაახლოება უკვე რეალობად იქცა, ისინი იყვნენ პირველი დესპანები ქრისტიანულ ეკროპასა და მტრებით გარშე-

მორტყმულ საქართველოს შორის. განსაკუთრებული მადლიერება გვიპყრობს ქრისტეს რწმენისათვის თავგანწირული იმ ათეულობით კათოლიკე მღვდლისადმი, რომლებიც შეა საუკუნეებისა თუ ახალი დროის ძნელებელობის უამს კეთილი მწყემსივით თავს დებდნენ პატარა საქართველოსთვის, ქვეყნისათვის, რომელიც მტრულ გარემოში მედგრად ინარჩუნებდა მაცხოვრის რწმენას და მის ეკლესიას.

მსურს, წერილი დავასრულო 2016 წლის 30 ოქტომბერს, პატორანცისკეს თბილისში ვიზიტისას, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს წარმოთქმული სიტყვებით: „საქართველოში კათოლიკე ეკლესიას საუკუნეების მანძილზე შეჰქონდა თავისი დიდი წვლილი საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში. ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავაც შეიტანს თავის ბუნებრივ წვლილს ქართული საზოგადოების ზრდაში, ჩვენი საერთო ქრისტიანული ტრადიციების დამოწმების, უპოვართა სასიკეთოდ გაწეული ძალისხმევის გზით და უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის სხვა რელიგიურ საკრებულოებთან განახლებული დიალოგისა და განმტკიცებული ურთიერთობების მეშვეობით“.

P.S. მახსოვს, 1985 წელს, როდესაც თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის წინამძღვარს ვკითხე, თუ რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი იმ მოცემულ ეტაპზე კათოლიკე ეკლესიისათვის საქართველოში, მან დაუფიქრებლად მიპასუხა: „ახალი კათოლიკე მღვდლები“. მართლაც, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა მისი სიტყვების სიმართლე. პოსტ-

საბჭოთა გარდამავალ ეტაპზე, როდესაც მოსახლეობამ ხელახლა დაიწყო შემობრუნება ეკლესიისაკენ, რომ ყოფილიყვნენ საკმაო რაოდენებით სასულიერო პირები, საქართველოში გაფანტული კათოლიკური საკრებულოები მწყემსის გარეშე არ აღმოჩნდებოდნენ. იმ ტაძრებსაც, რომლებიც გასული საუკუნის 80-90-იან წლებში სხვა კონფესიას გადაეცა, ეს ბედი არ ეწეოდა. და 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციას თითქმის ნულიდან არ მოუწევდა თავისი საქმიანობის დაწყება.

1993 წელს, როდესაც წმიდა საყდრის ნუნციუსი, არქიეპისკოპოსი უან პოლ გობელი შეუდგა თავის საქმიანობას საქართველოში, პირველი, რაც მან გააკეთა, ეს იყო სამოციქულო ადმინისტრაციის ჩამოყალიბება და ზრუნვა სასულიერო პირების მოწვევისათვის. ერთ-ერთი პირველთაგანნი, ვინც გამოეხმაურენ არქიეპისკოპოსის ამ მოწვევას, გახლდნენ ახალგაზრდა მღვდლები ქართულ ეპე პაზოტო და მამა გაბრიელე ბრაგანტინი, რომლებმაც მალევე შეისწავლეს ქართული ენა და 1994 წლიდან შეუდგნენ დასავლეთ საქართველოში წმინდა მისის აღსრულებას. 1996 წელს მამა ჯუზეპე პაზოტოს ნუნციუსმა სამოციქულო ადმინისტრაციის მართვაც დაავალა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, სამოციქულო ადმინისტრაციამ მისი დაუზარელი მმართველის ხელმძღვანელობით მრავალი საქმე ითავა, რათა სამრევლოს საქმიანობა გამოეცხლებინა და გაეძლიერებინა. პირველ რიგში, მოხდა 1937 წელს ჩამორთმეული წმ. მარიამის

ზეცად აღყვანების ტაძრის საფუძვლიანი რესტავრაცია. 1999 წელს არქიეპისკოპოსმა ჯოვანი ბატისტა რემ ახლად აკურთხა ტაძარი, რომელიც საკათედრო ტაძრად იქცა. იმავე წლის ნოემბერში თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პაპმა ითავს პავლე II-მ ეპისკოპოსობა უბოძა მამა ჯუზეპე პაზოტოს. ხოლო ეპისკოპოსად ხელდასხმის ცერემონია კი შედგა 2000 წლის 6 იანვარს, რომში, წმ. პატრიქეს ტაძარში... ამით აღსრულდა მრავალსაუკუნოვანი სურვილი საქართველოს კათოლიკე მრევლისა, რომ თბილისში კვლავ ყოფილიყო ეპისკოპოსის კათედრა.

სამოციქულო ადმინისტრატორის მწერმატავრობით, მთელი სამღვდელოებისა და ლათინური წესის კათოლიკეთა ერთიანი ძალისხმევით, აღადგინეს დანგრეული ტაძრები, სადაც არ იყო საეკლესიო ნაგებობები, ააშენეს ახლები. თუმცა მორწმუნებისათვის მოუშუშებელ ტკივილად რჩება ის ხუთი სატაძრო ნაგებობა, რომელიც საბჭოთა სისტემის ნგრევის დროინდელ ქაოსში სხვა კონფესიის მიერ იქნა დაკავებული. თუმცა, ეკლესიათაშორისი გლობალური ურთიერთობების ფონზე, უფრო მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის ეკლესიებსა და წმიდა საყდარს შორის ქრისტიანული ძმური ურთიერთობის აღდგენა, ვიდრე ნაგებობებისთვის დაპირისპირება. ამ კონტექსტში ალბათ ყველაზე სწორ პოზიციას გამოხატავს სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, როდესაც აღნიშნავს, რომ „ეკლესია ქვები არ არის, ეკლესია მორწმუნე ადამიანთა საკრებულოა, მაცხოვრის რწმენით აღსავს გულების საკრებულო და მისი წართმევა შეუძლებელია. ამიტომ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რა არის უფრო მთავარი, ქვები თუ ადამიანები“.

ეს წერილი საქართველოში კათოლიკე ეკლესის მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულების გა-

ცოცხლების ერთგვარი მცდელობაა, რათა მკითხველს გააცნოს საქართველოში კათოლიკე ეკლესის უახლესი ისტორია, მისი ძნელბედობით აღსავს ე. წ. საბჭოური პერიოდი. საერთოდ ძალზე ძნელია უახლესი ისტორიის კვლევა და ანალიზი, როდესაც ამ ისტორიის პროცესის მონაბილები ცოცხლები არიან და ყველა მათგანს თავისი სუბიექტური შეხედულება გააჩნია, ამა თუ იმ ფაქტთან თუ მოვლენასთან და-


კავშირებით. მაგრამ ამგვარი კვლევების წარმოება უაღრესად აუცილებელი და მნიშვნელოვანია. ნებისმიერი ინფორმაცია, შემდგომ შეუცვლელ ისტორიულ წყაროდ იქცევა და მათ გარეშე მომავალი მკვლევარები ძნელად შექმნიან მართალ ისტორიას, რიგითი ადამიანები კი აღარ აღმოჩნდებან გაურკვევლობისა და ყალბი მითების გარემოცვაში. დღეს ზოგიერთები ცდილობენ დადებით კონტექსტში წარმოაჩინონ საბჭოური ეპოქა, ვითომდა სოციალური დაცულობის, თანასწორობისა და მშრომელთა კეთილდღეობაზე მზრუნველი ტოტალიტარული რეჟიმი. მაგრამ ამ დროს გვერდს უვლიან ადამიანის უფლებების უხეშ დაოღვევებს, რითაც გაჯერებული იყო მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრება საბჭოთა კავშირში. და ამ 70 წლიანი ტყვეობის დროს, ადამიანებს არც რწმენის, არც სინდისის, არც სიტყვის თავისუფლების დაცვის არანაირი გარანტია არ გააჩნდათ. საუკუნების მანძილზე მათი წინაპრების მიერ ნაგები ეკლესია-მონასტრები მათ თვალწინ ინგრეოდა, ან არადან-



იშნულებით გამოიყენებოდა, ნადგურდებოდა და იძარცვებოდა კულტურული მემკვიდრეობა. რეპრესიებს განიცდიდნენ სასულიერო პირები და მორწმუნები და ეს ყოველივე საერთო-სახალხო კეთილდღეობაზე ზრუნვით ინილბებოდა.

მეოცე საუკუნეში კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში უდიდესი რყევები განიცადა. არასდროს ასე მძიმე და დრამატული, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მავალი არ ყოფილა მისი არსებობა. და, ამავე დროს, ასეთი იმედით, რწმენითა და სიყვარულით აღსავს. სწორედ ამ შემართებამ და წმიდა საყდრის თანადგომის იმედმა გადაატანინა საქართველოს მცირერიცხოვან მრევლს ესოდენი სოციალური გაჭირვება, კონფესიური ზენოლა და პოლიტიკური რეპრესიები. დღეს, როგორც არასდროს, ისეთი ძლიერი იმედით შეჰქურებს იგი მომავალს. და ზუსტად ქართველი კათოლიკეების ამ შემართებაზე გააკეთა აქცენტი 2016 წლის პირველ ოქტომბერს, თბილისში, თავისი ქადაგების დროს, პაპმა ფრანცისკემ.

## ნუგზარ პარდაველი



## ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

3 დეკემბერი	-	კარიტასის სამი წესის მეთაურთა შეხვედრა
8 დეკემბერი	-	მარიამის უმანქო ჩასახვა, ქუთაისის საკრებულოს დღეობა
10 დეკემბერი	-	მღვდლებისა და დიაკონების ონლაინ შეხვედრა
10 დეკემბერი	-	მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება (+1973)
16 დეკემბერი	-	შობის ნოვენის დასაწყისი
25 დეკემბერი	-	ქრისტეშობა
26 დეკემბერი	-	წმ. სტეფანე პირველნამებული, ოზურგეთის საკრებულოს დღეობა
27 დეკემბერი	-	ნაზარეთის წმიდა ოჯახი, გორის საკრებულოს დღეობა
28 დეკემბერი	-	წმ. ბეთლემელი ჩვილი

## განსვენება საუკუნო მიანიშვა მათ, უფალო!



გიორგი ლომიძე (გეგებაშვილი)  
\* 22. 06. 1954, ვალე  
† 02.10. 2020, თბილისი



ევგენია ბითაროვი  
\* 05.06.1927, ვალე  
† 03.10. 2020, ვალე



ნინო გევარიშვილი  
\* 22.02. 1933, ახალშენი  
† 03.10. 2020, ახალშენი



გვარე თამარევაშვილი  
\* 26.03. 1941, უდე  
† 04.10. 2020, თბილისი



ნინო გორგაძეიანი  
\* 16.10. 1935, ბაქო  
† 08.10. 2020, თბილისი



სორება თალიაშვილი  
\* 01.01. 1932, ვალე  
† 16.10. 2020, ვალე



ვალე ჭარაბაშვილი  
\* 15.03. 1936, ლაგოდეხი,  
ნინორი, † 21.10. 2020, ლაგოდეხი,  
ნინორი



ვალე ვალემინაშვილი  
\* 08.10. 1929, ასპინძა  
† 05.11. 2020, ასპინძა



ნინო გორგაძეიანი  
\* 29. 10. 1965, ვალე  
† 08. 11. 2020, ვალე

მთავარი რედაქტორი: გ. გაბრიელე ბრაგანტინი CSS  
სარედაციო კოლეგია: ნუგარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორქნა პარუნაშვილი, მერაბ ლალანიძე, ციცინო ხითარიშვილი  
ტექნიკური მხსარდლაბირ: მღვდ. მიხეილ სურამაგი, თამარ სტეფანაძე  
მისამართი: ურნალ „საბას“ რედაქცია, ვია აბესაძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;  
E-mail: sabamedia@gmail.com; www.sabamedia.net; www.facebook.com/sabamedia/  
რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, ღ „საბას“, 2020.